ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 მაისი 2002 №89 (1611) | ფასი 50 თეთრი


**კორეა-იაპონია 2002 მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 13 დღე**



ისედაც გაჭირვებულ გერმანიას კრისტიან ვიორნსიც გამოაკლდა. დორტმუნდელი კარგა ხნის დაშავებულია, მაგრამ ახლაღა გაირკვა, სამუნდიალოდ ვერ მომჯობინდება



არსენალელმა ფრანგებმა მთელი ძალა ინგლისურ დუბლს შეალიეს და სანაკრებოდ სიქაგამქვრალნი არიან. სულ მთლად რომ არ წახდნენ, ცოლებთან ყოფნა უნდა აუკრძალოთო, უთქვამს „ლურჯთა" ექიმს

## ქევხიშვილის ხმამაღალი დებიუტი

გუშინდლამდე ყვარლელ ძიუდოისტ დავით ქევხიშვილს ბევრი არავინ იცნობდა. გუშინ იგი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა! სლოვენიურ მარიბორში ქართველებმა ორი ბრინჯაოც მოიპოვეს: ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი მესამეობას დასჯერდნენ

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# ქართული სალაპარაკო
## იყო თუ არა ოფსაიდში სინდისი?

*წინა ტურში იყო, ფოთის „კოლხეთმა" თავი რომ გამოიდო და შინ „ტორპედოს" თავი არ დააჯაბნინა. დღეს კი „ბათუმის" ჯერია – სამართლიანი თამაშის წესების დაცვას ასლან ბალაძის გუნდისგანაც ველით. ჩემპიონი „ტორპედო" თუ ბათუმში შმაგ მეტოქეს არ გადააწყდა, „დინამოს", „ლოკომოტივსა" და საერთოდ ყველას, სალაპარაკო მიეცემა... მიუხედავად გაუსაძლისი ყოფისა, ნაღდი ბრძოლა მერანელებსაც შეუძლიათ. თბილისის „დინამოსთან" კარგი თამაში ნებისმიერ სიტუაციაში მნიშვნელოვანი და საპატიო საქმეა. ივო შუშაკს კი თავისი ბიჭების ზედმეტი თავდაჯერებულობა აშფოთებს. ერთი ვნახოთ, „კოლხეთი" „ლოკომოტივსაც" „ტორპედოსავით" უმოწყალოდ მოექცევა თუ არა. ისე კი, ფოთელები, რაც რჯინიგზამ თავისი გუნდის ჩემპიონობა ამოიჭრა გულში, ლოკომოტიველებს ტრადიციულად ყელში ეჩხირებოდნენ. იმერეთში დღეს „სამგურალსაც" უქომაგებენ. წყალტუბოელები და რუსთაველები, თქმა არ უნდა, წვივსაფარსა და ქაცვებს ერთმანეთს გაალმასებით შემოარტყამენ, მაგრამ ცალი თვალი და ყური მცხეთისკენაც გაექცევათ...*

იხილეთ მესამე გვერდი



ფოთელ ვალტერ გუჩუას საჩემპიონოდ შემართული ზაზა ჯანაშიას შეჩერება მოუწევს



# ივო შუშაკი:
## არც ერთი სიტყვა დინამოზე

### მიროსლავ ბლაჟევიჩის თანაშემწე ხორვატი მწვრთნელი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ამბებს იხსენებს

ინტერვიუ ივო შუშაკთან იხილეთ მეორე გვერდზე

# შუშაკის მემკვიდრეობა: გმირები

## ბლაჟევიჩი, იოზიჩი, ტუჯმანი...




ხორვატიის ძველ-ახალი მწვრთნელები: მიროსლავ ბლაჟევიჩი და მირკო იოზიჩი

*ოთხი წლის წინანდელი ამბავია – პატარა, ამაყმა და ომში გამარჯვებულმა ქვეყანამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფურორი მოახდინა...*

*საფრანგეთი 98-ზე ხორვატიის ეროვნული გუნდი მესამე ადგილზე გავიდა და ხორვატული პატრიოტიზმის ცნებაც უკიდეგონოდ განავრცო...*

*ტრიუმფის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ცხადია, გუნდის თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი გახლდათ, ამ ამაგდარი მწვრთნელის ერთ-ერთი თანაშემწე კი ახლა უკვე თბილისის დინამოელი ივო შუშაკი...*

*მსოფლიოს ჩემპიონატამდე 23 დღე დარჩა და ხორვატია კორეა-იაპონიაშიც შეეცდება თავის ყინჩად დაჭერას, თუმც დღეს ხორვატებს სულ სხვა გუნდი ჰყავთ...*

*მაგრამ ვისაც წარსული არ სწამს, მისთვის მომავლის შექმნა შეუძლებელია. ხორვატიის, როგორც საფეხბურთო ქვეყნის ფენომენზე ბევრი გვსმენია და წაგვიკითხავს, მაგრამ ივო შუშაკი ხომ ის კაცია, ვინც თავისი წვლილი ამ საქმეში უკვე შეიტანა და სიტყვაც ეთქმის.*

*მაშ ასე, ხორვატი ივო მშობლიური ფეხბურთის უახლოეს წარსულზე და აწმყოზე...*

**— ხორვატ მწვრთნელებს უყვართ სამუშაოდ სხვა ქვეყნებში წასვლა და არც ეროვნული ნაკრების ახლანდელი თავკაცი მირკო იოზიჩია გამონაკლისი — ის ნაკრებამდე მექსიკაში მუშაობდა. თქვენ როგორ დაახასიათებდით მას? შეგიძლიათ, იოზიჩი მიროსლავ ბლაჟევიჩს შეადაროთ?**

— იოზიჩს, როგორც მწვრთნელს, უკვე 30 წელიწადია, ვიცნობ. 1975-85 წლებში, როცა იუგოსლავია ჯერ არ იყო დაშლილი, იოზიჩი ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა. მერე იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრები ჩაიბარეს და 1987 წელს გუნდმა ჩილეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. მაშინ იოზიჩის ნაკრებში ბრწყინვალე თაობა გამოდიოდა — ბობანი, პროსინეჩკი, შუკერი, იარნი, მიატოვიჩი... ამ ტრიუმფის შემდეგ იოზიჩი ჩილეში დარჩა და იქაურ „კოლო-კოლოს" ჩაუდგა სათავეში, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწია. მერე პორტუგალიურ „სპორტინგს" წვრთნიდა, შემდეგ „პაიდუკს", მერე ისევ დაბრუნდა პორტუგალიაში, მექსიკა და ახლა კი ხორვატიის ეროვნული გუნდი ჩაიბარეს. იოზიჩიც და ბლაჟევიჩიც მაღალი დონის მწვრთნელები არიან, თუმც ერთმანეთისგან განსხვავებული.

**— მაინც რითი განსხვავდებიან იოზიჩი და ბლაჟევიჩი?**

— იოზიჩი ძალიან სერიოზული, მომთხოვნი სპეციალისტია და მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა ელიტაში შედის ბლაჟევიჩის დარად. იოზიჩი მეტ ყურადღებას აქცევს დაცვას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ყველაფერს დაცვით იწყებს და ამთავრებს. იოზიჩის სტილია, რაც შეიძლება, მალე მოიპოვოს გუნდმა ბურთი და შეუტევს შეტევის ორგანიზებას — ამას პირადად მე დიდად ვაფასებ.

**— გარდა ამისა, ის ფაქტორიცაა, რომ ხორვატიის ნაკრებს ახლა სხვა ფეხბურთელები ჰყავს, ხომ არ შეადარებდით ხორვატიის ახლანდელ ნაკრებს ოთხი წლის წინანდელს?**

— ბლაჟევიჩის მთავარი დამსახურება ის გახლდათ, რომ შეძლო, ასი პროცენტით ზუსტად შეეფასებინა ფეხბურთელები და მათთვის ასპროცენტიანი საშუალება მიეცა თავის წარმოსაჩენად. ბლაჟევიჩს მაშინ 6-7 მაღალი დონის ოსტატი ჰყავდა, რომლებიც სათამაშო პიკში იყვნენ და ტაქტიკასაც ამ ფეხბურთელების შესაძლებლობის გათვალისწინებით ადგენდა. ბლაჟევიჩის პლუსი ისიც იყო, რომ მას შეეძლო, ამ ფეხბურთელების, ასე ვთქვათ, ალიარება დღეს იოზიჩის განკარგულებაში ისეთივე მაღალი დონის ფეხბურთელები არ არიან. მართალია, პროსინეჩკი, შუკერი და ბოკშიჩი კვლავ თამაშობენ ნაკრებში, მაგრამ მათი კარიერა ხომ უკვე დაღმა ეშვება. ამიტომაც, იოზიჩს სურს, უფრო თანამედროვე ტაქტიკამ წარმართოს გუნდის თამაში, ვიდრე ცალკეულმა ფეხბურთელებმა.

**— საფრანგეთი 98-ის დროს დავორ შუკერი მადრიდის „რეალში" ირიცხებოდა, მაგრამ ამ გუნდის ძირითადში იშვიათად თამაშობდა. ბლაჟევიჩმა მაინც წაიყვანა ის მუნდიალზე და შუკერიც ტურნირის ბომბარდირი გახდა. თუ არის იოზიჩი ის კაცი, ასეთი რამ ჩაიდინოს და თქვენ თუ გააკეთებდით იგივეს ბლაჟევიჩის ადგილას?**

— როცა გუნდი საფრანგეთი 98-ისთვის შეკრებაზე იყო, ცხადია, მეც იქ ვიყავი. ფეხბურთელები ფანტასტიკური ჟინით ემზადებოდნენ ტურნირისთვის. შუკერის გარდა სხვებსაც ჰქონდათ მწირი სათამაშო პრაქტიკა, თუნდაც იარნის, მაგრამ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგი თამაშით თავიანთი კარიერის კარგ პერსპექტივას ხედავდნენ. მათ იმის დამტკიცებაც სურდათ, რომ სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ფეხბურთელები არ იყვნენ. საფრანგეთის მუნდიალის შემდეგ ნაკრების თითქმის ყველა წევრმა სარფიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახლა კი სრულიად სხვა ვითარებაა — შუკერს, პროსინეჩკისა და ბოკშიჩს აღარ აქვთ იმის მოტივაცია, რომ კარგი თამაშით კარგ კონტრაქტზე მოაწერონ ხელი. იოზიჩს ახლახან ველაპარაკე და მითხრა, აქცენტი ფეხბურთელებმა წმინდა სპორტულ ასპექტზე უნდა გააკეთონო. ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ დახვდნენ გუნდს სამშობლოში საფრანგეთი 98-ის შემდეგ და გვსურს, წლეულსაც იგივე განმეორდეს — დაუვიწყარი დღეები იყო, მაგრამ ამ ნაკრებს ეს უფრო გაუჭირდება. თანაც ხორვატიას ახლა უკვე წინა ჩემპიონატის მესამეადგილოსნად განიხილავენ და არა უბრალო გუნდად.

**— თქვენი ნაკრების ოთხი წლის წინანდელ წარმატებას კიდევ ერთი ფაქტორი განაპირობებდა — პოლიტიკური. ხორვატიის მაშინდელ პრეზიდენტ ფრანიო ტუჯმანზე კი ლეგენდები დადის, ის ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო და მწვრთნელ-ფეხბურთელებზეც, ალბათ, დიდ გავლენას ახდენდა. იქნებ ამ კუთხითაც გაიხსენოთ ის პერიოდი.**

— ჩვენს პრეზიდენტს ფეხბურთი ფანტასტიკურად უყვარდა. ის ჭკვიანი იყო და კარგად უწყოდა, რომ ფეხბურთი და ჩვენი ეროვნული ნაკრები ქვეყნის ყველაზე დიდი ელჩი იყო. ტუჯმანი ეროვნულ გუნდს ყველანაირ პირობებს უქმნიდა. მას ადრიატიკის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე საკურორტო ვილა ჰქონდა, სადაც დასასვენებლად ერთხელ პროსინეჩკი, ბობანი, ასანოვიჩი, ბოკშიჩი და შუკერი მიიწვია. საფრანგეთ-98-ის დროს ტუჯმანი ყოველდღე გვირეკავდა, რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთო. დაესწრო ჩვენს მეოთხედფინალურ მატჩს გერმანიასთან და შეხვედრის შემდეგ გასახდელში მოგვილოცა გამარჯვება. საფრანგეთთან ნახევარფინალურ შეხვედრაშიც დაესწრო შეხვედრას და მიუხედავად წაგებისა, კარგად რომ ვითამაშეთ, ეგ მოგვილოცა.

ერთხელ, ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის დროს, ხორვატია სპლიტში ეთამაშებოდა დანიას და იმავე დღეს ჯგუფში ჩვენი მეტოქეები, იუგოსლავია და მალტაც თამაშობდნენ [illegible]. ბლაჟევიჩსა და მე ძალიან გვინდოდა მალტა — იუგოსლავიის თამაშზე დასწრება, მაგრამ ელემენტარულად დროში ვერ ვეტეოდით. ტუჯმანმა კი სამთავრობო თვითმფრინავი გამოგვიყო, რითაც მალტაში გადავფრინდით და ჩვენი მატჩისთვის ათი წუთით ადრე დავბრუნდით.

საფრანგეთი 98-ის შემდეგ კი ზაგრებში დიდი ზეიმი მოეწყო, ხოლო მთელი გუნდი პრეზიდენტმა ტუჯმანმა თავის რეზიდენციაში მიგვიპატიჟა და ყველანი პერსონალურად დაგვაჯილდოვა საპატიო ორდენით.

**— ხორვატიამ დამოუკიდებლობისთვის ომში გაიმარჯვა და თქვენი წარმატებები ამან, ალბათ, მნიშვნელოვნადაც განაპირობა. საქართველომ კი დამოუკიდებლობა რომ მოიპოვა, მერე ომები წააგო. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვს ომში წაგებულ ქვეყანას ფეხბურთში დიდი წარმატებების მისაღწევად?**

— საქართველო მშვენიერი, ლამაზი ბუნების ქვეყანაა და ბუნებრივი რესურსებით მდიდარია. ხოლო წამყვანი ქვეყნები ვალდებულნი არიან, დაგეხმარონ. მჯერა, ისინი ინვესტიციებს გაიღებენ და ამას სპორტისთვის და კონკრეტულად ფეხბურთისთვისაც გააკეთებენ. სპორტმა დროს ფეხი უნდა აუწყოს, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

**— ისევ საფრანგეთი 98-ს დავუბრუნდეთ. მეოთხედფინალში გერმანიასთან თქვენ რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეთ და სამი უპასუხო გოლიც ამის მერე გაიტანეთ. გერმანელთა თავკაცი ბერტი ფოგტსი და სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ კრისტიან ვიორნსი უსამართლოდ გააძევეს დავორ შუკერის მოცელვის შემდეგ...**

— არა, ვიორნსმა ბურთზე კი არა, მეტოქის ფეხზე „ითამაშე" და ეს სადავო არ უნდა იყოს. ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**— ორი წლით ადრე, ევრო 96-ზე კი გერმანიასთან მეოთხედფინალში დამარცხდით. მაშინ თქვენ, ხორვატებს გქონდათ პრეტენზიები მსაჯის მიმართ...**

— მაშინაც კარგი გუნდი გვყავდა, მაგრამ გერმანიამ მოგვიგო. სლავენ ბილიჩი თვითონ იყო დამნაშავე, მსაჯს რომ წითელი ბარათი გამოსტყუა. მაგრამ ინგლისი-96 ხორვატიის ნაკრებისთვის პირველი სერიოზული ტურნირი იყო და გამოუცდელობამ დაგვაღალატა. თუმც ბევრი რამ ვისწავლეთ, რაც ორი წლის შემდეგ გამოგვადგა.

**— ხორვატ ფეხბურთელთა დღევანდელ თაობაზე და ნაკრების სამუნდიალო შანსებზე რას იტყოდით?**

— იტალია და ხორვატია ჯგუფში ფავორიტები არიან. პირველი ეტაპი უნდა დავძლიოთ, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება. რაც შეეხება თაობას, ლევერკუზენელი ბორის ჟივკოვიჩი, იუვენტუსელი იგორ ტუდორი, რომელიც კორეა-იაპონიაში ვერ ითამაშებს, ლივერპულელი იგორ ბისკანი, მილანის ინტერის დარიუშ შიმიჩი, „ლეჩეს" — დავორ ვუგრინეცი და კიდევ რამდენიმე მოთამაშე ის ხალხია, ვისი ასაკიც 23-დან 26 წლამდეა და ახლა მათი დროა. თუმც ისინი წინა თაობის ოსტატების დარი ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**



1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი: ხორვატია მესამე

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი**

B ჯგუფი
I ტური

ინგლისი 2:1 შვეიცარია
იტალია 1:1 პორტუგალია

**ოთხთა ტურნირი**

იუგოსლავია 0:2 უკრაინა
რუსეთი 1:1 (პენ. 4:5) ბელარუსი

**ამხანაგური მატჩები**

შვედეთი 1:2 პარაგვაი
დანია 2:1 კამერუნი
სლოვენია 2:0 განა


**იყიდება უნიკალური წიგნები**

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა.
ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები.
ტ. 30-75-81



საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი 13

# 9 ტური

„ტორპედო“, „დინამო“ და „ლოკომოტივი“ — ეროვნული ჩემპიონატის სამი ფავორიტი — თითოეული კონკურენტის წაფორხილებაზე იოცნებებს და ამავდროულად მეტოქის დამარცხებასაც შეეცდება.

რეალური ვითარება სადღეისოდ ასეთია: „ბათუმი“ არ ჩანს „ტორპედოს“ შემკავებელი და „მერანიც“ ვერას უნდა გახდეს „დინამოსთან“. თუმცა ფეხბურთში რომ ყველაფერი ხდება, ამის მტკიცებაც, უადგილოა.

ყველაზე დაძაბული მატჩი „ფაზისზეა“ მოსალოდნელი. ფოთში ნასტუმრევმა „ლოკომოტივმა“ დღეს თუ იმარჯვა, მერე რკინიგზელთა ჩემპიონობაც არავის გაგიკვირდეთ.

გუშინვე ჩაიყვანეს ბიჭები სერგო კოტრიკაძემ და გია ჯიშკარიანმა ფოთში. „ლოკომოტივმა“ გუშინვე მოსინჯა „ფაზისის“ ვარგისიანობა, მაგრამ შინ „კოლხეთი“ როგორი წასაქცევია?

ქვეექვსეულში კი წყალტუბოელები და რუსთაველები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბმებიან „26 მაისზე“. ზესტაფონელებსაც მძიმე წუთების გადატანა მოუხდებათ „არმაზზე“. ბოლნისელები კი ლანჩხუთში მიდიან, სადაც „გურიას“ აჩრდილმა რალა უნდა მოუხერხოს. მოკლედ ბოლოსწინა ტურია, ინტრიგებით დახლართული, ზოგს რომ ააშენებს და ზოგს კიდევ დააქცევს.

# ლოკომოტივმა ფოთში სურდო ჩაიტანა

თბილისი. ეროვნული. 18 მაისი. 17.30 საათი

## დინამო VS მერანი

მსაჯები: მ. მაღალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგაძე; ი. კახიანი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

*ივო შუშაკი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:*

მწვრთნელისთვის ეს თამაში ძალიან რთული იქნება, რადგან გულშემატკივრებს და ალბათ, ჩემი გუნდის ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ სამი ქულა უკვე ჯიბეში აქვთ. უნდა დავარწმუნო ფეხბურთელები, რომ ეს სამი ქულა ჯერ არ გვაქვს მოპოვებული. მჯერა, რომ ამას შევძლებთ. რაც შეეხება ტრავმებს, კარლოს პატარა პრობლემა აქვს, მაგრამ „მერანთან“ ალბათ მაინც ითამაშებს.

ფოთი. ფაზისი. 18 მაისი. 17.30 საათი

## კოლხეთი VS ლოკომოტივი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

*ხოხო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:*

— მეოთხე ადგილი თითქმის განაღდებული გვაქვს. „ბათუმს“ თეორიული შანსი კი დარჩა, თუმც არა მგონია, ჩვენი გადასწრება შეძლოს. დავით კვირკველიას და გელა ფანჩულიძის თამაში „ლოკომოტივთან“ საეჭვოა, ელდარ გვასალიას საკითხი კი გადაწყვეტილია. ის ვერ დაგვეხმარება. ამ ტრავმების მიუხედავად, მეტოქეს არაფერს დავუთმობთ. „კოლხეთი“ პრესტიჟის დასაცავად ითამაშებს. ეს ჩვენი პრინციპია. ასევე ვითამაშეთ ქუთაისის „ტორპედოსთან“. ასე რომ, „ლოკომოტივს“ დიდი ომის გადატანა მოუწევს. დარწმუნებული ვარ, ძალიან დაძაბული მატჩი იქნება.

*გია ჯიშკარიანი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:*

— თამაშის მნიშვნელობაზე ზედმეტია ლაპარაკი. „ლოკომოტივს“ მხოლოდ სამი ქულა უხსნის გზას პირველობისკენ და, ცხადია, მოსაგებად გავალთ „ფაზისზე“. თუმც „კოლხეთთან“ ურთულესი მატჩი გველის. სადღეისოდ მეტოქეზე მეტად ჩემი ფეხბურთელების ჯანმრთელობა მადარდებს. რუსია მოულოდნელად ღვიძლის ტკივილმა შეაწუხა და თბილისში დარჩა. გოგიჩაიშვილს ფეხის ტრავმა აწუხებს, სირაძეს საზარდული, ჭიჭველიშვილს კი სურდო შეეყარა. კაიდარაშვილმა ვარჯიში განაახლა, მაგრამ საბოლოოდ მომჯობინებული არც ისაა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სასტარტო თერთმეტეულს თამაშის დღეს შევარჩევთ. ბიჭებს ამაღამაც დავაკვირდებით და საბოლოო გადაწყვეტილებსაც მერე მივიღებთ.

ბათუმი. დინამო. 18 მაისი. 17.30 საათი

## ბათუმი VS ტორპედო

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ჯვარიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ვ. სილაგავა

*ასლან ბალაძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ფაქტობრივად, ინტერტოტოს თასზე გასვლის შანსი დავკარგეთ. ამის გამო ძალიან გულგატეხილი ვარ, მაგრამ რას ვიზამ. ახლა მხოლოდ მომავალ სეზონზე უნდა ვიფიქროთ. „ტორპედოსთან“ კი გამოვალთ და ჩვეულებრივად ვითამაშებთ. ჩვენ არავის ვალი არ ვგაქვს, ამიტომ ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დავხვდებით მეტოქეს. მინდოდა, ამ მატჩში ახალგაზრდები გამომეცადა, თუმც ეს ჯერ არ გადამიწყვეტია. ზურაბ არჩვაძეს ვარჯიშზე კუნთი გაუწყდა და ვერ დაგვეხმარება. დანარჩენებს სერიოზული არაფერი სჭირთ. ვეცდებით, ჩემპიონატი გამარჯვებებით მაინც ჩავამთავროთ.

*რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს“ მწვრთნელი:*

— ფოთში „კოლხეთთან“ და „მერანთან“ „ტორპედოს“ თამაშებმა, მგონი, ყველა დაარწმუნა, რომ ჩვენი გუნდი არავისთანაა წინასწარ გარიგებული. ბათუმშიც სუფთა ბრძოლა იქნება და, რა თქმა უნდა, მოსაგებად ვიბრძოლებთ. ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს.



ფოთელი ელდარ გვასალია (შუაში) ლოკომოტიველ მცველებს დღეს ვერ შეაწუხებს

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 5 | 1 | 2 | 10:5 | 42 |
| დინამო | 8 | 7 | 1 | 0 | 10:0 | 41 |
| ლოკომოტივი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:4 | 41 |
| კოლხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 26 |
| ბათუმი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:13 | 23 |
| მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:13 | 20 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 12:8 | 33 |
| სიონი | 8 | 4 | 0 | 4 | 15:12 | 25 |
| მეტალურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:10 | 23 |
| სამგურალი | 8 | 5 | 0 | 3 | 11:7 | 22 |
| გორდა | 8 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 21 |
| გურია | 8 | 0 | 0 | 8 | 3:21 | 8 |

წყალტუბო. 26 მაისი. 18 მაისი. 17.30 საათი

## სამგურალი — გორდა

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; ლ. ცანიაშვილი (სამივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

მცხეთა. არმაზი. 18 მაისი. 17.30 საათი

## ვიტ ჯორჯია — მეტალურგი

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებული: გუნაძე (მეტალურგი)

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 18 მაისი. 17.30 საათი

## გურია — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა



ივო შუშაკი: მეამაყება, ვარ დინამოელი

# დინამო ვირტუალურად და პოლიგრაფიულად

**საქართველოსავით** დაქცეულ-გალატაკებულთ თუ არ ჩავთვლით, მეტნაკლებად ყველა ნორმალური ქვეყნის თავმოყვარე კლუბი საკუთარი გამოცემითა თუ საინტერნეტო ვებ-გვერდით იწონებს თავს. საქართველოში ერთ-ორ გუნდს ჟურნალ-გაზეთი აქამდეც დაუსტამბავს და ჯიხურებში უფასოდაც დაურიგებია, მაგრამ ეს ყოველივე ერთჯერადი გახლდათ. ბოლო ხანს ფეხბურთის ფედერაციის ყოველთვიური ბიულეტენის გამოცემაც შეწყდა. ღლესდღეობით, უფრო სწორად, აქამდე ვებ-გვერდით მხოლოდ ფედერაცია და საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ დაიტრაბახებდნენ. იგივე დააპირა რუსთავის „გორდამაც“, მაგრამ მათი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ პროექტი ჩაიშალა.

გუშინ კი საქართველოს ათგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ ჩინებულ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, მრავალფეროვანი თემატიკით გამორჩეული 56-გვერდიანი ფერადი საკლუბო ჟურნალისა და ვებ-გვერდის პრეზენტაცია ერთდროულად მოაწყო. ჟურნალი უკვე იყიდება, 3 ლარი ღირს, ინტერნეტში კი ეს მისამართი შეგიძლიათ აკრიფოთ — WWW.FCDINAMO.GE და კლუბის ისტორიაზე, მენეჯმენტზე, ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებზე ამომწურავ ინფორმაციას მიიღებთ. რა თქმა უნდა, სიახლეებთან ერთად.

— ხორვატიაში ვიყავი და თავი მოვიწონე, ჩემმა გუნდმა ასეთი ჟურნალი რომ გამოსცა. რაც შემეძლო, ქართულადაც ამოვიკითხე და ბოლოს ხორვატმა ჟურნალისტებმა ფოტოს გადაღება რომ მთხოვეს, ფონად ამ ჟურნალიდან ამოღებული პოსტერი გამოვიყენე. ჟურნალი ყველას მოეწონა და ამჟამინდელ „დინამოზეც“ თქვენმა კოლეგებმა გარკვეული ინფორმაცია მიიღეს. ჩემიც ხომ გესმით, იმ გუნდის მწვრთნელი ვარ, რომელსაც ასეთი გამოცემა აქვს. დიდი მადლობა „დინამოს“ პრესსამსახურს, კლუბის ხელმძღვანელობას, ყველას, ვინც იშრომა. ჩემი ეს სიტყვები მეტყველებს, ამ გუნდში როგორი გულითაც ვარ. ვისურვებ, ჩვენი საქმე კიდევ წინ წავიდეს და „დინამო“ დიდ ევროპულ კლუბებს გაუტოლდეს — ნასიამოვნები იყო „დინამოს“ ხორვატი მწვრთნელი ივო შუშაკი.

**ძოგა ინასარიძე**



# ჩივაძე შეშლოდ, კოპალეიშვილი შსაძმოდ

**მოსკოვში** ოთხგუნდა ტურნირი დაიწყო, სადაც მასპინძელი რუსები ეცდებიანნ, საპრიზო ფონდი, 60 ათასი დოლარი, იუგოსლავიის, უკრაინისა და ბელარუსის გუნდებს არ დაანებონ.

რუსები კი ევრო 2004-ის მეათე შესარჩევ ჯგუფში ქართველებს გაუწევენ მეტოქეობას. ამიტომ ჩვენი ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე ჩრდილოელ მეზობელთა დედაქალაქში ჩაფრენას და მოწინააღმდეგის უშუალოდ საქმეში კიდევ ერთხელ ხილვას აპირებდა. არ გამოვიდა ეგ საქმე. ბატონი საშა მალამ წნევამ შეაწუხა, თავს შეუძლოდ გრძნობს და მოსკოვში მისი ვიზიტიც ჩაიშალაო, გვითხრეს გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში.

საქართველოს ნაკრებს, ოღონდ ამჯერად ოლიმპიურს, კიდევ ერთი ვიზიტი ჩაეშალა სამეზობლოში. ვახტანგ კოპალეიშვილს მაისის ბოლოს აზერბაიჯანელი თანატოლებისთვის უნდა გაეჯიბრებინა შეგირდები, მაგრამ იქაურებს ახლა სტუმრის მისაღებად აღარ სცხელათ. აზერბაიჯანულ ფეხბურთში ბუნტია, ფედერაციას კლუბები აუჯანყდნენ და ქართველებსაც საბოლოოდ უარი შემოუთვალეს, ჩვენი გაგვჭირვებია და ვერ გიმასპინძლებთო.

„კოპალას ბიჭები" სავარაუდოდ ერთი თვის შემდეგ შეიკრიბებიან და ირანის ახალგაზრდულ გუნდთან ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ თბილისში.

**ბაჩუკა ძგანტალიანი**

*P.S. ბავშვური სიბრძნე — ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფიცი — ალექსანდრე ჩივაძე შეუძლოდ გახლავთ. ფაქტი კი ასეთია — ჩვენი ეროვნული გუნდის დამრიგებელი გუშინ დილის ბაზას ეწვია და შუშკის მიერ ჩატარებულ ვარჯიშს უცქერდა.*

*„სარბიელის" სამედიცინო დასკვნა — ჩივაძეს პიპერტონია დილომში ვერას დააკლებს.*



მეტსახელს ერთი შეხედვით ვერ ამართლებს. „პანკისის ლომი" თავაზიანი, მოკრძალებული და მშვიდია, მაგრამ მოედანზე ყველაფერი საპირისპიროდ იცვლება, ბოლომდე მებრძოლ, დაჭრილ მხეცს ემსგავსება და ასეთ დროს ყველაზე საშიშია...

7-8 წლის წინ ახმეტაში ნიჭიერ ბავშვზე ალაპარაკდნენ. ზაზა მედოევს იმთავითვე უწინასწარმეტყველეს კარგი საფეხბურთო მომავალი. თხუთმეტი წლის ლამის ორჯერ უფროსებთან ერთად „ბახტრიონში" წარმატებით თამაშობდა, მერე კი თელავში გადაიყვანეს და იქაც არ შეურცხვენია თავი. მედოევმა „პანკისის ლომობამდე" რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაშიც მოასწრო თამაში — 1999-2000 წლების სეზონში ვლადიკავკაზის „ავტოდორის" რიგებში ლამის პირველი ლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ გუნდი ჩემპიონატში მეორეობას დასჯერდა, მედოევმა ისევ მეორე ლიგაში თამაში აღარ ინდომა და სწორი გადაწყვეტილებაც მიიღო, რადგან მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონი გახდა „ტორპედოს" შემადგენლობაში.

„პანკისის ლომად" მედოევი ქიზიყურ „მილანში" იქცა. ნათლიებად ის ქიზიყელი გულშემატკივრები ჰყავდა, ორი წლის განმავლობაში აღფრთოვანებაში რომ მოჰყავდა თავისი გააზრებული, თავდადებული და ტექნიკური თამაშით.

დღეს ზაზა იუბილარია, 21 წლის შესრულდა და როგორც თავად ამბობს, ყველაზე ბედნიერია. შარშან კი დაბადების დღე ჩაუმწარდა იუბილარს და ლამის თავი დაანება ფეხბურთს...

# ცრემლიანი იუბილე

## მილანელმა მედოევმა ნაკრების კარსაც მიუკაკუნა

— „ტორპედოში" უმეტესწილად სათადარიგოთა შორის მიწევდა ყოფნა, შეცვლაზე შევდიოდი მოედანზე და მაინც კმაყოფილი ვიყავი ბედით. ახალგაზრდა კაცს საჩქარო რა მქონდა. ვიცოდი, უფეხბურთოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებდი და ადრე თუ გვიან უმაღლეს დონეზე ვითამაშებდი.

**— ამის გათვალისწინებით, შენი პირველლიგელ „მილანში" გადასვლა უკან გადადგმულ ნაბიჯს უფრო ჰგავდა...**

— „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ქალბატონმა მარიამ ფირცხალაიშვილმა ჩამიყვანა ქიზიყში. წნორში უმაღლეს ლიგაში გადასვლა ჰქონდათ მიზნად დასახული, ჩემი თამაში მოსწონებიათ და კლუბის პრეზიდენტის ავთანდილ მანგოშვილის და „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტ შედანი ნანიკაშვილის მეგობრობამ გადაწყვიტა ჩემი კახეთში გადასვლა. არც მინანია, რადგან საოცრად თბილი, მეგობრული და, რაც მთავარია, საქმიანი ვითარება დამხვდა ახალ გუნდში. ფეხბურთელებს ყველა პირობა გვქონდა შექმნილი, რათა წარმატებისთვის მიგვეღწია, ნელ-ნელა თავდაჯერებაც შეგვემატა და შედეგიც სახეზეა — მიზანს მივაღწიეთ. დღესაც ბურანში ვარ, არც კი მჯერა, უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოვიპოვეთ.

**— უმაღლესში გადასვლა შარშანაც შეგეძლოთ...**

— გული მიმძიმდება, „გურიასთან" ბოლო ტურის საშინაო მატჩს რომ ვიხსენებ. ფრეც გვყოფნიდა უმაღლესში გადასასვლელად. 90 წუთის განმავლობაში არ მოვცილებივართ მეტოქის საჯარიმოს, დღესაც ვერ ვაცნობიერებ, როგორ გავუშვით გოლი. თამაშის შემდეგ ლაპარაკის თავი არავის გვქონდა, მარტო ვტიროდით. ჩვენ დღეში იყვნენ გულშემატკივრებიც. სხვათა შორის, მაშინაც 18 მაისი იყო, იუბილარი ვიყავი და ასე ჩამიმწარდა ყველაფერი. დაბადების დღეს ვინ ჩივის, ოთხი დღე შოკიდან ვერ გამოვედი, კინაღამ ფეხბურთს თავი დავანებე, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი დავივიწყე, რაც ავთანდილ მანგოშვილის დამსახურებაა. ამ კაცის სიმშვიდემ და მიზანდასახულობამ ყველა გამოგვიყვანა მდგომარეობიდან და წლევანდელ იუბილეს უკვე ბედნიერი შევხვდი. ასეთ საჩუქარზე ვერც ვიოცნებებდი, უმაღლეს ლიგაში აქამდეც მითამაშია, მაგრამ ერთიორად ტკბილია, ამ გამარჯვების ნაწილი რომ ხდები.

**— თსუ-სთან ბოლო ტურის გადამწყვეტ მატჩში შენი თამაში არც კი იყო დაგეგმილი.**

— ფეხი მაწუხებდა და დასვენება ვარჩიე. წინა ორი თამაშიც ფეხმტკივანმა ვითამაშე და შემეშინდა, ტრავმა არ გამრთულებოდა, მაგრამ შეხვედრა ისე წავიდა, რომ გულმა რეჩხი მიყო, ვერ გაგვქონდა გოლი. ის კი არა, მეტოქე აქეთ გვიტევდა თავგამოდებით და ვერ მოვისვენე. მანგოშვილთან მივედი, შევალ, გავიტან-მეთქი, ვუთხარი. ვგრძნობდი, საჩემო თამაში იყო. შევედი და მეტოქემ აქეთ გაგვიტანა ორი გოლი, მერე კი მოსიაშვილმა მოიქნია მარჯვენა, იმედი გაგვიჩინა და ბოლოს დანაპირებიც შევასრულე. ლამაზი გოლი გამოვიდა, უმნიშვნელოვანესი. ვფიქრობ, ამაზე საჭირო გოლი დღემდე არ გამიტანია. ისე კი, კომბინაციური გოლები უფრო მომწონს. არ დამავიწყდება „გურიასთან" სათასო მატჩში გატანილი — ეფექტურად გავათამაშეთ ბურთი მე და პაატა გამცემლიძემ.

**— საუკეთესო პარტნიორი ვინ გყავს გუნდში?**

— გამცემლიძე, გოლეთიანი და ბარამიძე. ჩინებულად ვეწყობი ვარამაშვილსაც, საწყენია, რომ ტრავმის გამო რამდენიმე თამაში გაუცდა.

**— „მილანს" არ გაუჭირდება უმაღლეს ლიგაში?**

— ჩვენ თავდადების ხარჯზე მოვიპოვეთ წარმატება და ეს თვისება თუ არ დავკარგეთ, ყველაფერი რიგზე იქნება. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ, ვფიქრობ, ექვსეულისთვის ბრძოლა შეგვიძლია და ამ სურვილსაც ავიხდენთ.

**— შენი გადაბირება რამდენიმე უმაღლესლიგელს სურდა. მსურველები ახლაც გეყოლება...**

— ვიცი, რომ „ლოკომოტივი" და „მერანი" მიწვევდნენ. „ტორპედოსაც" სურდა ჩემი დაბრუნება, მაგრამ „მილანს" ვერ ვუღალატებ. დღეს ვჭირდები ამ გუნდს და სხვაგან გადასვლაზე არც ვფიქრობ. ისე კი, სურვილი მაქვს, მომავალში უცხოეთში მოვსინჯო ძალა. ჩემი ოცნება კი ეროვნულ ნაკრებში თამაშია.

**— რომელ ნაკრებს უქომაგებ მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— საფრანგეთს. თითქმის უნაკლოა ამ ქვეყნის უპირველესი გუნდი. ისე, კლუბებიდან „რეალს" ვგულშემატკივრობ.

**— კაცი „მილანში" თამაშობ და „რეალს" ქომაგობ?**

— ჰო, ასეა, „რეალს", თუმც ჩემი უსაყვარლესი ფეხბურთელი დიდ „მილანში" თამაშობს, — ანდრეი შევჩენკო ჩემი კერპია.

***ზაზა მედოევის ოცნებას ახდენა უწერია. „მილანის" ხელმძღვანელთა თქმით, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე „პანკისის ლომის" გამოცდას ესტონეთთან საკონტროლო მატჩში აპირებს.***

**პაატა ძგანტალიანი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# სამყურამ ყური არ ჩამოყარა

### ირლანდია

**ირლანდია 1:2 ნიგერია**

0:1 აგაოვა (13), 0:2 სოდჯე (46), 1:2 რიდი (68)

**ირლანდია:** გივენი, ფინანი, ჰარტი, კანინგემი, სტონტონი, როი კინი (კიმსელა 64), მაკატირი (რიდი 45), ჰოლანდი, დაფი (კონოლი 60), რობი კინი (მორისონი 60), კილბეინი (გ. კელი 60)

**მწვრთნელი:** მიკ მაკარტი

**ნიგერია:** შორუნმუ, ჯოზეფი, ვესტი, ოგბეჩე, იკედია, სოდჯე, ობაბუნმი, ოკორონკვო, ოკოჩა (ორუმა 66), ნ. კანუ, აგაოვა

**მსაჯი:** ანტონიო ალმეიდა კოშტა (პორტუგალია)

42 652 მაყურებელი

**2002 წლის** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქე ირლანდია ბოლო ორი წლის განმავლობაში გუშინწინ პირველად შერცხვა შინაურ კედლებში. „ლენსდაუნ როუდზე" მიკ მაკარტის ბიჭებს ნიგერიელმა „არწივებმა" ჩააზრევინეს თავები.

ეს საკონტროლო მატჩი ორივე გუნდისთვის საჭირო იყო, რადგან კარს მომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატზე ირლანდიელებს ნიგერიელთა სტილის კამერუნი ჰყავთ მეტოქედ, აფრიკელ „არწივებს" ინგლისელები. მოკლედ, ორივე გუნდი მაქსიმალურად შეეცადა თავის გამოჩენას და უფრო უკეთ ეს სტუმრებს გამოუვიდათ, არადა ირლანდიელებს წასაგები არაფერი სჭირდათ. აფრიკელთა კარში იკე შორუნმუ რომ არ მდგარიყო, მასპინძლები ორწლიან, ნაფერებ საშინაო ტრადიციას არ დაარღვევდნენ.

„ლენსდაუნ როუდზე" შეყრილი 42 000 ფანი „სამყურათა" გამარჯვებას მოითხოვდა, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა ჯულიუს აგაოვა, მატჩის მე-13 წუთზე მე-11 სანაკრებო გოლი რომ შეაგდო. უკრაინული „შახტარის" ფორვარდი გოლიდან ხუთ წუთშიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ შეი გივენმა იყოჩაღა, მერე კი მასპინძლები და შორუნმუ დარჩნენ მოედანზე და მეკარემაც პირველ ტაიმში მშრალად შეინახა კარი.

მეორე ნახევრის დაწყებას სასიკეთო არაფერი მოუტანია მაკარტის გუნდისთვის. 42-ე წუთზე სტუმართა კუთხურისას მცველი ეფე სოდჯე თვით როი კინს მძლავრად აუხტა საჯარიმოში და თავით მეორე გოლი გაიტანა, მერე კი ისევ ცალკარა გახურდა, მაგრამ შორუნმუ ერთადერთხელ გატყდა ჯეისონ მაკარტის შემცვლელ სტივენ რიდს რომ გაატანინა.

ირლანდიელები დარჩენილ დროშიც ბევრს უტევდნენ, ერთხელაც გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

ნამატჩევს მიკ მაკარტი ჩვეულებისამებრ ენაწყლიანი იყო:

„ამ მატჩით ძალიან ვისიამოვნე. ჩვენ რამდენიმე გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ ნიგერიელთა მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა. ვფიქრობ, ფრეს მაინც ვიმსახურებდით. მატჩმა ისიც დაამტკიცა, რომ ერთობ გაგვიჭირდება მსოფლიოს საფეხბურთო ფორუმზე, რადგან ჩვენი თანაჯგუფელი კამერუნი დღევანდელ მეტოქე ნიგერიაზე ძლიერია. მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენ ქომაგებს, დღეს რომ ერთგულად დაგვიდგნენ გვერდში, ბევრ სასიამოვნო წუთს ვაჩუქებთ".

**პაატა ძგანტალიანი**



ირლანდიელთა ერთადერთი გოლი სტივენ რიდისა (მარჯვნივ) იყო


# იყიდება

**გაზ–2107 თეთრი ფერის,**

**1990 წელს გამოშვებული,**

**კარგ მდგომარეობაში.**

ტელ: 39-48-29 (11.00 19.00);
69-89-56 (საღამოს)
კახა ,



გიო ახვლედიანის




# ლობანოვსკის გარდაცვალება

კიევში დაკრძალეს ვალერი ლობანოვსკი.

მას, უკვე ხეირიზულად ავადმყოფს, ჯანმრთელობამ საბოლოოდ საბრძოლო პოსტზე, მოედნის კიდეზე მჯდომს უმტყუნა. ალბათ, ყველაზე დიდი საბჭოთა მწვრთნელი იხე წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც მიდიან ხოლმე ფეხბურთის გამორჩეული მესაჭენი. სამსახურიდან, ცხოვრების აზრიდან პირდაპირ იმქვეყნად გადაინაცვლა. განგება იშვიათად აჯილდოვებს ხოლმე ფეხბურთის მწვრთნელებს ამგვარი სიკვდილით. თუ რა თქმა უნდა, სიკვდილს ჯილდო დაერქმევა.

ლობანოვსკი ავად იყო, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა ფეხბურთს.

ამ კაცის დამსახურება ის კი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში უძლიერესი საკლუბო გუნდი შექმნა და ნაკრებიც მის ხელში იყო ყველაზე შესახედი და ძლიერი, არამედ, ის, რომ იმ ჩაკეტილ ქვეყანაში, იმ ორთოდოქსულ და ძველმოდურ ფეხბურთში, 70-იან წლებში რომ თამაშობდნენ საბჭოთა კავშირში, ის მიხვდა, თუ როგორი იქნებოდა ფეხბურთი მომავალში.

როცა კიევის „დინამოს" მწვრთნელი გახდა, ლობანოვსკი ოცდათხუთმეტი წლის იყო. უკან ჰქონდა მოგზაური და ახირებული ფეხბურთელის კარიერა. მას იცნობდნენ როგორც საგოლე კუთხურებისა და ზუსტი საჯარიმო დარტყმების ოსტატს, ლოკალურ ვარსკვლავს, რომელსაც უკრაინის ლამის ყველა გუნდში უთამაშია თავის მეგობარ ოლეგ ბაზილევიჩთან ერთად.

როგორც მწვრთნელმა, მან მსოფლიო სახელი დაიგდო. ის და ბაზილევიჩი მიხვდნენ, რომ ფეხბურთი შეიცვლებოდა და იცვლებოდა ყოველდღიურად. ჩემი ფეხბურთი რინუს მიხელსის იდეებს დაეფუძნა, ამბობდა ლობანოვსკი. მან თამამად დაიწყო თავისი გუნდის შენება და საბჭოთა კავშირში მანამდე უნახავი და გაუგონარი ფეხბურთი გაიტანა მოედანზე.

მას წარმატება ჰქონდა ევროპაშიც. მან ვერ მოიგო ჩემპიონთა თასი, მაგრამ მის დიდ მწვრთნელობას ყველა აღიარებს. იტალიაში სტაჟირებაზე ჩასულ საბჭოთა მწვრთნელებს ეუბნებოდნენ, აქ რას მოდიოდით, ლობანოვსკი მანდ არა გყავთო? მისი გუნდი ვერ მიუახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონატის საპრიზო ადგილებს, მაგრამ ყველა აღიარებდა, რომ ის დიდებული მწვრთნელი იყო და საუცხოო გუნდი ჰყავდა.

მის მიერ შექმნილი კიევის „დინამო" იმავდროულად ნაკრებიც იყო და ხშირად სამ-ოთხ ფრონტზე იბრძოდა. მან მიაღწია მრავალ ნახევარფინალს და ევროპის ჩემპიონატის ფინალსაც კი. ორჯერ აიღო თასების თასი, აჯობა დიდ გუნდებს და კიდევ უფრო დიდ მწვრთნელებს.

ლობანოვსკი, მკაცრი იყო, თითქოს კუშტი, მაგრამ დიდი კაცი გახლდათ. ის არა მარტო გუნდებს, ფეხბურთელებსაც ქმნიდა და ყოველთვის იცოდა, რომ წარუმატებლობის წლებს დიდი გამარჯვებებით შეცვლიდა.

ვფიქრობ ევროპაში ნათლად არც იცოდნენ, რა ქვეყანა იყო უკრაინა, მაგრამ იცოდნენ ვინ იყო ლობანოვსკი. ის თავისი ქვეყნის სავიზიტო ბარათი იყო.

მან ძალიან ბევრი იცოდა და ძალიან ბევრი ესმოდა. როცა ასეთები კვდებიან, თამაშის მომავალზე ფიქრი ძნელდება. „მოვა დრო და ყველა ფეხბურთელს ყველაფერი შეეძლება მოედანზე" — ასეთი იყო ფეხბურთის ამ დიდი წინასწარმეტყველის ერთ-ერთი უკანასკნელი სატელევიზიო ფრაზა.

ის ყოველთვის მომავალზე ფიქრობდა.

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ევროპა ფრანგულად დაიწყო



ფრანგმა ანტონი რევეიემ და ჩეხმა მიხაელ პოსპიშილმა (№11) ბურთი ვერ გაიყვეს

**B ჯგუფი. I ტური**

**საფრანგეთი 2:0 ჩეხეთი**

1:0 გოვუ (40), 2:0 სორლინი (45)

საფრანგეთი: ლანდრო, რევეიე, ქაპუდი, ბუმსონგი, ბერსონი, ბრეჩე, სორლინი, გოვუ (ფრეი 46), მალბრანკი (მაპუ 87), ლუინდულა (არმანი 71), პედრეტი

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

ჩეხეთი: ჩეხი, ფირანეკი, პოლაკი (ზელენკა 46), ვორიშეკი, დრობნი, კობილიკი (პიტაკი 84), ბაროში (ვახუშეკი 63), პოსპიშილი, როზეხნალი, პუბშმანი, სკაჩელი

მწვრთნელი: მიროსლავ ბერანეკი

გაფრთხილებები: პუბშმანი, ვორიშეკი

მსაჯი: ეროლ ერსოი (თურქეთი)

10 000 მაყურებელი

**21-წლამდელთა** ევროპის ჩემპიონატი ფრანგთა ლამაზი გამარჯვებით გაიხსნა. მათ პეგი ლუინდულას თამამობით იოლად სძლიეს ჩეხ თანატოლებს, რაც მით უფრო დასაფასებელია, რომ აქამდე ჩეხეთის ნაკრების დამარცხება ზედიზედ თერთმეტ მატჩში ვერავის მოეხერხებინა.

საფრანგეთის ნაკრები მოედანს მთელი 90 წუთი აკონტროლებდა. მოუღლელი პეგი ლუინდულა მეტოქე მცველებს მოსვენებას არ აძლევდა და გვარიანად ანერვიულებდა გამოცდილ მეკარე პეტერ ჩეხს.

პირველი გოლი მე-40 წუთზე გავიდა. თითქოს ხიფათი არსაიდან ჩანდა, თუმც დევიდ როზენალმა ბავშვური შეცდომა დაუშვა და ბურთი სიდნეი გოვუს გადააბარა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამას ოლივიე სორლინმა ტაიმის მიწურულს კიდევ ერთი გოლი მიუმატა და ფრანგებიც შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ. სორლინის გოლი კი მეტწილად პეგი ლუინდულას დამსახურება გახლდათ — მან ოთხი ჩეხი მცველი დატოვა ჩამოიტოვა და სორლინი ჩეხთან „პაემანზე" გაუშვა.

მეორე ტაიმი კვლავაც ფრანგებისა იყო. მათ მალბრანკის აქტიურობით ბლომად საგოლე მომენტები შექმნეს, თუმც მეტად ველარ იხეირეს, ჩეხებს კი მთელი მატჩის განმავლობაში კარისკენ ხეირიანად არც დაურტყამთ. გუნდს აშკარად ეტყობოდა დორტმუნდის „ბორუსიას" ლიდერ ტომაშ როსიცკის არყოფნა, რომელიც გუნდს შვეიცარიაში საერთოდ არ გაჰყოლია. ამის გამო ჩეხები შეტევის წამოწყებასაც ვერ ახერხებდნენ.

სპეციალისტები კი საფრანგეთის ნაკრებს ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევენ იტალიელებთან ერთად.

**საბერძნეთი 1:2 ბელგია**

0:1 დაფრიენი (33), 0:2 სოტერსი (83), 1:2 გიტასი (90)

საბერძნეთი: კოცოლისი, ბაცაცოლლუ, ლუმბუტისი, კირიაზისი, კირიაკოსი (გიტასი 78), ამანატიდისი (თეოდორიდისი 46), პაპადოპულოსი, ნასტოსი (სალპინგიდისი 58), კაცურანისი, ხარისტიასი, ტავლარიდისი

მწვრთნელი: ანდრიას მიხალოპულოსი

ბელგია: ტილე, დე როკკი, მარტენსი, ვან დერ ჰეიდენი, ტიელემანსი, რუიხელი, შატელე (სოტერსი 70), დელორგე, ვან დოორენი (გრეგორიო 90), დუფერი, დაფრიენი

მწვრთნელი: ჟან-ფრანსუა დე სარი

გაფრთხილებები: ტავლარიდისი, ვან დერ ჰეიდენი, ხარისტიასი, სოტერსი, მარტენსი

მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

10 000 მაყურებელი

**მეტ-ნაკლებად** მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ჯგუფის მეორე მატჩი. ბერძენთა ახალგაზრდულ ნაკრებს ბევრი დიდ წარმატებას უქადდა, თუმც ბელგიელებმა ეს არად ჩააგდეს და პირველივე მატჩში მარცხი აწვნიეს.

პირველი გოლი 33-ე წუთზე გრეგორი დუფერის კარგ გარჯას მოჰყვა. აქვე ვთქვათ, რომ ეს სწრაფი კონტრიერიში ბელგიელთა მეკარე ჟან-ფრანსუა ჟილეს გრძელი პასით დაიწყო.

ამას მეორე ტაიმის მიწურულს ბელგიელთა კიდევ ერთი გოლი მოჰყვა და მატჩის ბედიც მაშინ გადაწყდა. 83-ე წუთზე სოტერსმა მეორედ აიღო სტეფანოს კოცოლისის კარი. ბერძნებმა მეტოქეს მსაჯის მიერ წამატებულ დროში გატანილი კინკილათილა უპასუხეს.

ამგვარად, ბელგიამ საფრანგეთის დარად სამი ქულა მიითვალა და სწორედ ეს ორი გუნდი ლიდერობს B ჯგუფს.

**ქახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**II ტური, 19 მაისი**

საბერძნეთი — საფრანგეთი
ბელგია — ჩეხეთი



REUTERS

კიევში ვალერი ლობანოვსკის დაკრძალვას უკრაინის პრეზიდენტი, მთავრობა და უამრავი ადამიანი დაესწრო. დიად მწვრთნელს უკრაინის გმირობა მიანიჭეს



REUTERS



გუშინ „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან გასპარმა კლუბში მეორედ მისულ ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და ჟურნალისტებსაც წარუდგინა. პრესკონფერენციაზე კი დიდი მხიარულება არ ყოფილა და სულაც წუთიერი დუმილით დაიწყო — გუშინვე 74 წლისა გარდაიცვალა „ბარსელონას" ოდინდელი ფორვარდი და ესპანეთის ნაკრების თავკაცი ლადისლაუ კუბალა.

## ამხანაგური მატჩი

**მეტროსტარზი (აშშ) 1:1 მილანი (იტალია)**

0:1 ხოსე მარი (24), 1:1 რამოსი (58)

მილანი: ტაიბი, კონტრა (მალდინი 46), სარი (დაინო 64), ტონეტო (საიმონი 59), კალაძე, ბროკი, დე აშენტისი (კონტიკიო 64), სერჯინიო (ბა 46), ლეონარდო (ძაული 59), ხოსე მარი (ორლანდინი 46), უბნერი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილებები: დე აშენტისი, ბროკი

## ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**
**B ჯგუფი. III ტური**

დენ ჰააგი — ექსელსიორი 1:2; ვოლენდამი — სპარტა 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ექსელსიორი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| დენ ჰააგი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| ვოლენდამი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:11 | 0 |

# დანია დალაგდა

## დანია

33-ე ტური: ოლბორგი — კოპენჰაგენი 2:4; ბრონდბიუ — ლიუნგბიუ 2:0; ორჰუსი — სილკებორგი 4:0; ვაილე — ესბიერგი 2:0; აკადემისკი — ოდენსე 4:3; მიდტიულანდი — ვიბორგი 3:1

**ჩემპიონატის** ბოლო ტურის წინ, დილით, ფეხბურთის ფედერაციამ ცხრილი აურ-დაურია, „აკადემისკს" სამი ქულა დაუმატა, „ვაილეს" კი წაართვა.

საქმე ასე იყო: 21 ოქტომბერს „აკადემისკმა" „ვაილეს" 4:0 მოუგო, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ კოპენჰაგენელებს მოედანზე ოთხი არაევროკავშირელი ფეხბურთელი ჰყავდათ, ლიმიტი კი, მოგეხსენებათ, სამია. „ვაილემ" ფედერაციაში იჩივლა, სამი ქულაც მიითვალა და გუშინწინდლამდე დანიის ჩემპიონატის ცხრილიც ამ ტექნიკური შედეგის მიხედვით იყო აწყობილი.

მაგრამ „აკადემისკმა" თავი დამარცხებულად არ სცნო და საპირისპირო არგუმენტი წარადგინა: იმ ოთხი არაევროკავშირელი ფეხბურთელიდან ერთი პოლონელი პიოტრ სტოიკოვსკი იყო, ხოლო პოლონეთი ევროკავშირის მხოლოდ ასოცირებული წევრია. პოდა, აკადემისკელებმაც განაცხადეს, პოლონელი ფეხბურთელი ევროკავშირელის მსგავსი უფლებებით არ უნდა სარგებლობდესო.

ამ კონტრსარჩელის განხილვა გაჭიანურდა და ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ბოლო ტურის დღეს მიიღო, „აკადემისკს" სამი ქულა დაუბრუნა.

საბოლოო ცხრილიც ამის მიხედვით არის შედგენილი. აქვე დავძინოთ, რომ „ვაილე" გავარდნას ვერც იმ სამი ქულით ასცდებოდა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 33 | 20 | 9 | 4 | 74:28 | 69 |
| კოპენჰაგენი | 33 | 20 | 9 | 4 | 62:25 | 69 |
| მიდტიულანდი | 33 | 16 | 9 | 8 | 47:27 | 57 |
| ოლბორგი | 33 | 16 | 6 | 11 | 52:45 | 54 |
| აკადემისკი | 33 | 13 | 11 | 9 | 48:37 | 50 |
| ოდენსე | 33 | 13 | 10 | 10 | 56:51 | 49 |
| ესბიერგი | 33 | 13 | 6 | 14 | 42:44 | 45 |
| ვიბორგი | 33 | 10 | 11 | 12 | 46:45 | 41 |
| სილკებორგი | 33 | 8 | 8 | 17 | 41:50 | 32 |
| ორჰუსი | 33 | 7 | 10 | 16 | 42:56 | 31 |
| ვაილე | 33 | 6 | 10 | 17 | 38:72 | 28 |
| ლიუნგბიუ | 33 | 2 | 9 | 22 | 25:92 | 15 |

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები**

**ამერიკა (მექსიკა) 2:1 მონარკას მორელია (მექსიკა) (2:1)**

1:0 პატინო (75), 2:0 კასტრო (83), 2:1 ფრანკო (85)

ამერიკა: რიოსი, პარდო, როხასი, დ. დავინო, სალინასი, ვეგა, ლარა, კასტრო, ვალდესი (ბ. ლოპესი 25; ა. სილვა 60), კასტილიო (ორტისი 73), პატინო

მონარკას მორელია: ბულიუბასიჩი, ო. როდრიგესი (მ. რუისი 28), ჩავესი, ფ. სანჩესი, დ. ფრანკო, პ. მორალესი, ფ. დავინო (ლოზანო 56), გლარია, ნორიეგა, ჩიტივა (ინიგესი 46), ტრუხილიო

გაძევება: როხასი (7)

60 000 მაყურებელი

**ოლიმპია (პარაგვაი) 1:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (1:1)**

1:0 ისასი (68)

ოლიმპია: ტავარელი, ისასი, ხ. კასერესი, ზელაია (მ. ბენიტესი 27), და სილვა, ორტემანი, ენსისო, კინტანა (ხ. ფრანკო 69), გ. კორდობა (მ. ბენიტესი 46), მ. კაბალიერო, ბაესი

ბოკა ხუნიორსი: აბონდანსიერი, კალვო, სკაიფა, ბურდისო, კ. როდრიგესი (კ. ხიმენესი 85), ტრაგლიო, ბატალია, ო. პერესი (გილერმო ბაროს შელოტო 75), რიკელმე, ბალბო (ტევესი 58), მ. დელგადო

მსაჯი: ანტონიო პერეირა და სილვა (ბრაზილია)

40 000 მაყურებელი

# დორტმუნდის „ბრაზილია“, ვიცე-კუზენი და რა დაუბარა ჰიცფელდმა როიტერს





მათიას ზამერმა „დორტმუნდს“ ბუნდესლიგა მოაგებინა, ზეიმს კი განერიდა

**გახსოვთ** ლეგენდარული სადღეგრძელო „კავკასიელი ტყვე ქალიდან“, იმას გაუმარჯოს, რომ ჩვენი სურვილები ჩვენს შესაძლებლობებს ემთხვეოდესო? ჰოდა, დორტმუნდელთა მწვრთნელ მათიას ზამერის საქმეც ასეა. ბოლო წელიწადნახევარში რაც მოისურვა, კლუბის ფინანსურ შესაძლებლობებსაც დაემთხვა და ამოროზოს, როსიცკის, კოლერის, ევერტონისა და კელის საყიდლად თითქმის 60 მილიონი ევრო დახარჯა, ასეთი ხელგაშლილობა კი ნიადაგ ფულის დასაზოგად მომართული გერმანული კლუბისთვის გაუგონარი ამბავია. თანაც ყველა შენაძენი დროული გამოდგა. როცა პირველ წრეში თავდამსხმელები ადო და რეინა დაშავდნენ, უცებ ჭაბუკი ბრაზილიელი ევერტონი გადაიბირეს და ამანაც 10 გოლის გატანა მოახერხა, მეათე კი „ვერდერთან“ ბოლო ტურში შეგდებული, „ოქროსიც“ გამოდგა. როცა ზამერი მიხვდა, რომ ოლისე და სტევიჩი როსიცკის ჯეროვნად ვერ ეხმარებოდნენ, ზამთარში „ფრაიბურგისგან“ „შავი მუშა“ სებასტიან კელი იყიდა. ფული ფულად, მაგრამ სეზონის ბოლოს აღმოჩნდა, რომ დანახარჯმა გაამართლა.

საერთოდ, ზამერი უცნაური კაცია, თამაშის მსვლელობისას ემოციური კია, მაგრამ ზოგადად აუღელვებელი ადამიანის სახელით იცნობენ. მაგალითად, როცა 1997-ში „დორტმუნდმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ყველა ფეხბურთელი სიხარულისგან კინაღამ გადაირია, ზამერი კი გასახდელში შევიდა და საზეიმოდ მოედანზე ძლივს დააბრუნეს.

რაღაც ამდაგვარი გამეორდა წლევანდელი ბუნდესლიგის ბოლო ტურის შემდეგაც. ასეთ დროს მარტო ყოფნა მჭირდება ხოლმეო — თქვა მერე ზამერმა, ვინც ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი-ჩემპიონი გახდა. დღეს მას ფრანც ბეკენბაუერსაც კი ადარებენ, რომელიც დიდებული კარიერის შემდეგ არანაკლებ იღბლიანი მწვრთნელი შეიქნა. თუმც ბეკენბაუერმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ზამერმა კი მხოლოდ ბუნდესლიგა, მაგრამ ასე თუ გააგრძელა...

ორი წლის წინ ზამერს და ლეგენდარულ უდო ლატეკს გასავარდნად განწირულ „დორტმუნდში“ უხმეს. ლატეკი მალევე წავიდა, ზამერმა კი უკვე მომდევნო სეზონში „ბორუსია“ მესამე ადგილზე გაიყვანა, წლეულს კი სულაც ჩემპიონი გახადა.

ზამერ-ფეხბურთელს ბრძოლისუნარიანობა, დისციპლინა, ტაქტიკური განსწავლულობა და მტკიცე ხასიათი გამოარჩევდა. ასეთივეა მისი „დორტმუნდიც“, როცა ბოლო ტურებში ლიდერ „ლევერკუზენს“ ნერვებმა უმტყუნა, „ბორუსია“ კლდესავით იდგა და აკი წადილიც აისრულა. თუნდაც „ვერდერთან“ გადამწყვეტი მატჩი გავიხსენოთ, ზამერელები 0:1 აგებდნენ, მაგრამ მაინც ივარგეს და კერკეტ მეტოქეს გამარჯვება დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გამოგლიჯეს.

მართალი გითხრათ, საკუთარ თავს უფრო გუნდის წევრად მივიჩნევ, ვიდრე მწვრთნელად — დასძინა მერე ზამერმა — ამიტომ უპირველესად ფეხბურთელებს მინდა მადლობა გადავუხადო, ასეთ დაძაბულ ჩემპიონატში პირველობა მართლაც დიდი ამბავიაო. გუნდის კაპიტანმა, უბერებელმა შტეფან როიტერმა კი დაამატა: „უსაზღვროდ ბედნიერები ვართ, ჩვენ ხომ „ლევერკუზენს“ ხუთი ქულითაც ჩამოვრჩებოდით, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს და მიზანს მივაღწიეთო. როიტერი სოლიდური ასაკის მიუხედავად კარიერის დამთავრებას ჯერ არ აპირებს. მეორე ვეტერანმა, 36 წლის იურგენ კოლერმა კი ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

„ბორუსიას“ წარმატება დიდწილად ბრაზილიელთა სიმრავლემაც განაპირობა. ზამერს ბუნდესლიგელთაგან ყველაზე მეტი ბრაზილიელი ჰყავს და მის გუნდს ხუმრობით დორტმუნდის „ბრაზილიასაც“ უწოდებენ. ცნობილია ისიც, რომ „ბორუსიას“ გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროედერი ქომაგობს და ეს ამბავი რომ მავანთა ეჭვის ჭიას გააღვიძებდა, რა გასაკვირია. სეზონის ბოლოსკენ ზამერელებს ორი ისეთი პენალტი დაუნიშნეს, გერმანიაში მაშინვე „რაღაც-რაღაცეებზე“ ალაპარაკდნენ, მაგრამ...

აბა, „ლევერკუზენზე“ რა ვთქვათ, ყველაზე ლამაზი და ჯიგრიანი გუნდი კვლავაც უტიტულოდ დარჩა. ვერც ჩემპიონა, ვერც ქვეყნის თასი მოიგო და ვერც ლიგა, არადა, სამივე მიზანთან ახლოს იყო. საოცარია, მაგრამ ბოლო ექვს წელიწადში „ბაიერმა“ მეოთხედ იმეორევა, ამიტომ გულშემატკივრებმა თავის გუნდს „ვიცე-კუზენი“ დაარქვეს.

თითქოს ასეთი მძიმე დასასრულის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერის ბიჭებს დამარცხებულის ფსიქოლოგია უნდა ჩამოყალიბებოდათ, მაგრამ „ტოპი“ ასე არ ფიქრობს. აი, რა თქვა მან ჟურნალ „კიკერთან“ ინტერვიუში: „უკვე 50 წლის ვარ და ტიტულები ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ეგ არის, ბიჭები მეცოდებიან, მათ ხომ ჩინებული სეზონი ჩაატარეს, ან მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა რა ქნას, ყველაფერი გუნდს შესწირა, მაგრამ ჯერჯერობით მთავარი, შედეგი ვერ მიიღო, ლევერკუზენიდან გლაზგოში ფეხით ჩავიდოდი, თუ ეს თასის მოგებას წაადგებოდა, მაგრამ რეალობას სადად უნდა შევხედოთ.

ჩემპიონატშიც, ქვეყნის თასზეც და ლიგაშიც ბოლომდე ვიბრძოდით, მოწინაალმდეგეებს ხუთი-ექვსი ექსტრაკლასის ფეხბურთელით მეტი ჰყავდათ, ვიდრე ჩვენ, ასეთი დაძაბული და ხანგრძლივი სეზონის ბოლოს დაღლილობას შეუძლებელია, არ ემოქმედა. „ბარსელონას“, „დეპორტივოს“, „არსენალს“, „ლივერპულსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვაჯობეთ, მეტი რაღა გვექნა, ნუთუ ამის მერე წაგებულის ფსიქოლოგიაზე უნდა ვილაპარაკოთ?

ახლა ჩემი მიზანია, მომავალი სეზონისთვის უკეთ მოვამზადო გუნდი, კარგი ფეხბურთელები უკეთესები გავხადო და ეგებ, ქომაგებს ერთი სიურპრიზი კიდევ შევთავაზო. მგონია, რომ შესაძლებლობის ზღვრამდე ჯერ არ მივსულვართ და მომავალში არა ერთი დიდი გამარჯვება გველის. ეგებ გაისად მეტად გაგვიმართლოს“.

ტოპმიოლერი იხტიბარს არ იტეხს, არადა, ყველაზე უკეთ უწყის, რომ შემოდგომიდან ერთი-ორად გაუჭირდება. მარტო მიხაელ ბალაკის „ბაიერნში“ გადასვლა რად ღირს. ის ხომ გუნდის ყოჩი და გულია. გაურკვეველია ზე რობერტოსა და ლუ[illegible] ისინიც წავიდნენ...

ახლა „ბაიერნზეც“ ვთქვათ. მოგეხსენებათ, გერმანიაში ეს კლუბი ბევრს გულზე არ ეხატება და რახან წლეულს ჩემპიონები ვერ გახდნენ, გულიც მოიფხანეს. აი, კლუბის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი კი მიიჩნევს, უტიტულობის მიუხედავად, სეზონს ცუდი მაინც არ ეთქმისო: „უძაყოფილო ვერ ვიქნები — ამბობს კაიზერ ფრანცი — ფეხბურთელებმა მებრძოლი სული გამოავლინეს, სეზონის ბოლოს იყოჩაღეს და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს. ეფენბერგს კი ბევრ რამეს ტყუილად აბრალებენ, ჩვენი დროებითი ჩავარდნა მასთან არანაირ კავშირში არ არის“.

მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი კი სხვაგვარად ფიქრობს: „როცა უტიტულოდ რჩები, ის სეზონი დაკარგულია — უთხრა ჰერ ოტმარმა „ბილდს“ — მართალია, ტრავმებმა გაგვაწამა და ხშირად, ჯერაც ბოლომდე მოუშუშებელ ფეხბურთელებს უწევდათ მოედანზე გასვლა, მაგრამ ეს გამართლება არ არის. დორტმუნდელებს გამარჯვება მივულოცე, ხოლო მათ კაპიტან როიტერს შეტყობინება დავუტოვე, გაისად ცხრილის სათავეში ისევ „ბაიერნი“ იქნება მეთქი. ახლა სებასტიან დაისლერი და მიხაელ ბალაკი შეგვემატებიან, მაგრამ ორი-სამი ახალი ფეხბურთელი კიდევ გვჭირდება. ვნახოთ, ძალიან გვინდა ზე რობერტოს გადმობირება, ამასთანავე კარგი ცენტრალური მცველიც გვჭირდება, თავდამსხმელთაგან კი ჭაბუკი ფრანგი ჯიბრილ სისე მომწონს, მაგრამ ჩვენთვის ის ძალიან ძვირია.

ეფენბერგის წასვლის შემდეგ კი ლიდერობა ოლივერ კანმა უნდა იტვირთოს, ის ხომ გუნდის კაპიტანი იქნება. ბალაკისაც მეიმედება, „ლევერკუზენში“ ის ნაღდი ლიდერი იყო და, ალბათ, „ბაიერნშიც“ არ დაიკარგება“.

„ფრაიბურგი“ და „კიოლნი“? გულდასაწყვეტია, რომ ჩვენებურთა გუნდები დაქვეითდნენ, მაგრამ რა გაეწყობა, მით უმეტეს, რომ ბუნდესლიგა უქართველოდ, ალბათ, მაინც არ დარჩება, ლევან კობიაშვილს ხომ „ლევერკუზენი“ და სხვებიც ეპატიჟებიან, ვნახოთ.

**სოლომონ გულისაშვილი**



რაინერ კალმუნდმა (მარცხნივ) კლაუს ტოპმიოლერი იქით ანუგეშა

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბორუსია დორტმუნდი (3) | | 1:1 | 0:2 | 3:1 | 1:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 3:1 | 3:0 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 2:1 | 1:1 | 34 | 21 | 7 | 6 | 62:33 | 70 | 12 | 3 | 2 | 31:12 | 39 | 9 | 4 | 4 | 31:21 | 31 |
| 2 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | 4:0 | | 1:1 | 2:1 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 4:1 | 4:0 | 2:1 | 4:1 | 5:0 | 2:0 | 2:0 | 4:2 | 4:1 | 2:0 | 3:1 | 34 | 21 | 6 | 7 | 77:38 | 69 | 14 | 1 | 2 | 46:13 | 43 | 7 | 5 | 5 | 31:25 | 26 |
| 3 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 1:1 | 2:0 | | 3:0 | 3:0 | 2:2 | 4:1 | 4:0 | 2:1 | 3:3 | 3:0 | 0:0 | 6:0 | 3:2 | 0:0 | 1:0 | 3:0 | 2:0 | 34 | 20 | 8 | 6 | 65:25 | 68 | 12 | 5 | 0 | 42:10 | 41 | 8 | 3 | 6 | 23:15 | 27 |
| 4 | ჰერტა ბერლინი (5) | 0:2 | 2:1 | 2:1 | | 2:0 | 3:1 | 5:1 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 6:0 | 3:0 | 2:3 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 3:0 | 2:2 | 34 | 18 | 7 | 9 | 61:38 | 61 | 13 | 2 | 2 | 40:13 | 41 | 5 | 5 | 7 | 21:25 | 20 |
| 5 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 1:0 | 3:3 | 5:1 | 0:0 | | 1:4 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 3:1 | 4:0 | 34 | 18 | 7 | 9 | 52:36 | 61 | 13 | 2 | 2 | 38:14 | 41 | 5 | 5 | 7 | 14:22 | 20 |
| 6 | ვერდერი ბრემენი (7) | 1:1 | 2:1 | 1:0 | 0:3 | 3:0 | | 1:0 | 1:2 | 1:3 | 1:0 | 0:1 | 1:0 | 3:2 | 4:3 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 3:2 | 34 | 17 | 5 | 12 | 54:43 | 56 | 11 | 2 | 4 | 29:21 | 35 | 6 | 3 | 8 | 25:22 | 21 |
| 7 | კაიზერსლაუტერნი (8) | 1:0 | 2:4 | 0:0 | 4:1 | 0:0 | 2:1 | | 2:2 | 1:3 | 3:2 | 2:2 | 3:2 | 4:0 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 5:1 | 34 | 17 | 5 | 12 | 62:53 | 56 | 11 | 4 | 2 | 39:21 | 37 | 6 | 1 | 10 | 23:32 | 19 |
| 8 | შტუტგარტი (15) | 3:2 | 0:2 | 0:2 | 0:0 | 3:0 | 0:0 | 4:3 | | 0:1 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 2:3 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 34 | 13 | 11 | 10 | 47:43 | 50 | 8 | 5 | 4 | 25:16 | 29 | 5 | 6 | 6 | 22:27 | 21 |
| 9 | მიუნხენი 1860 (11) | 1:3 | 1:4 | 1:5 | 0:3 | 1:2 | 3:1 | 0:4 | 3:3 | | 2:1 | 1:1 | 2:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 5:2 | 3:0 | 4:2 | 34 | 15 | 5 | 14 | 59:59 | 50 | 8 | 3 | 6 | 31:33 | 27 | 7 | 2 | 8 | 28:26 | 23 |
| 10 | ვოლფსბურგი (9) | 1:1 | 3:1 | 0:1 | 1:3 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 1:3 | | 0:1 | 3:1 | 2:1 | 4:0 | 5:0 | 1:1 | 5:1 | 1:1 | 34 | 13 | 7 | 14 | 57:49 | 46 | 9 | 3 | 5 | 34:18 | 30 | 4 | 4 | 9 | 23:31 | 16 |
| 11 | ჰამბურგი (13) | 3:4 | 1:1 | 0:0 | 4:0 | 0:0 | 0:4 | 2:3 | 2:0 | 2:1 | 1:1 | | 3:3 | 5:2 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 4:0 | 4:3 | 34 | 10 | 10 | 14 | 51:57 | 40 | 7 | 6 | 4 | 35:25 | 27 | 3 | 4 | 10 | 16:32 | 13 |
| 12 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 1:2 | 0:1 | 1:0 | 3:1 | 0:0 | 1:0 | 0:2 | 2:2 | 2:4 | 0:2 | 2:1 | | 0:0 | 0:2 | 1:0 | 2:2 | 4:0 | 2:2 | 34 | 9 | 12 | 13 | 41:53 | 39 | 6 | 5 | 6 | 21:21 | 23 | 3 | 7 | 7 | 20:32 | 16 |
| 13 | ენერგი კოტბუსი (14) | 0:2 | 2:3 | 0:3 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 0:2 | 0:0 | 1:1 | 3:3 | 1:0 | 3:3 | | 3:0 | 1:0 | 2:0 | 2:3 | 4:0 | 34 | 9 | 8 | 17 | 36:60 | 35 | 8 | 4 | 5 | 27:21 | 28 | 1 | 4 | 12 | 9:39 | 7 |
| 14 | ჰანზა როსტოკი (12) | 0:2 | 0:3 | 1:0 | 1:1 | 1:3 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 2:2 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | 1:0 | 4:0 | 3:0 | 1:0 | 34 | 9 | 7 | 18 | 35:54 | 34 | 6 | 6 | 5 | 20:18 | 24 | 3 | 1 | 13 | 15:36 | 10 |
| 15 | ნიურნბერგი (დ) | 2:2 | 1:0 | 1:2 | 1:3 | 0:3 | 0:4 | 0:2 | 2:4 | 2:1 | 3:0 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 2:0 | | 2:0 | 2:0 | 0:0 | 34 | 10 | 4 | 20 | 34:57 | 34 | 7 | 3 | 7 | 21:23 | 24 | 3 | 1 | 13 | 13:34 | 10 |
| 16 | ფრაიბურგი (6) | 1:5 | 2:2 | 0:2 | 1:3 | 2:0 | 3:0 | 3:1 | 0:2 | 1:3 | 0:0 | 4:3 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 2:0 | | 0:0 | 2:2 | 34 | 7 | 9 | 18 | 37:64 | 30 | 6 | 5 | 6 | 25:26 | 23 | 1 | 4 | 12 | 12:38 | 7 |
| 17 | კიოლნი (10) | 0:2 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:1 | 0:0 | 2:0 | 0:4 | 2:1 | 0:2 | 0:0 | 4:2 | 1:2 | 2:0 | | 2:1 | 34 | 7 | 8 | 19 | 26:61 | 29 | 5 | 5 | 7 | 16:21 | 20 | 2 | 3 | 12 | 10:40 | 9 |
| 18 | სტ. პაული ჰამბურგი (დ) | 1:2 | 2:2 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 0:3 | 1:1 | 1:2 | 0:3 | 3:1 | 0:4 | 1:1 | 4:0 | 0:1 | 2:3 | 1:0 | 1:2 | | 34 | 4 | 10 | 20 | 37:70 | 22 | 4 | 4 | 9 | 19:28 | 16 | 0 | 6 | 11 | 18:42 | 6 |

განო ოქროპირიძე

ბერლინიდან



*ორიოდ კვირის წინ თბილისიდან ტელეფონზე გამაფრთხილებელი ტექსტური შეტყობინება მივიღე. ერთი ახლობელი მირჩევდა, ეფენბერგ ზე წერას მოვრიდებოდი, ისეთ რამეებს წერ, სადმე რომ გადაგეყაროს, ცოცხალი ვერ გადაურჩებიო. თუმცა სამსახურეობრივი მოვალეობის გამო, იძულებული ვარ, ერთხელაც (და მისი ცხოვრების სტილის გათვალისწინებით, არა უკანასკნელად) გავრისკო.*

# ვინ ხარ შენ, ეფე?!

## მშიშარა ეფენბერგმა თომას შტრუნცს ცოლი წაართვა და ხუთი ბავშვი აატირა



თომას შტრუნცი ეფენბერგს ერთ დროს ფეხებს უკოცნიდა

**ათიოდე** დღის წინ ჩაცხრა გერმანიაში აგორებული სკანდალი, რომელიც ეფენბერგის მიერ ჟურნალ „პლეიბოისთვის" მიცემულ ინტერვიუს მოჰყვა. ფეხბურთელმა თანამემამულე უმუშევრები სიზარმაცეში დაადანაშაულა და ამის გამო გუნდიდანაც მოკვეთეს. სკანდალი რომ ჩაცხრა, კი დააბრუნეს, მაგრამ ამასობაში სეზონიც მორჩა და შტეფანის „ბაიერნთან" კონტრაქტსაც ყავლი გაუვიდა. ეფენბერგიც გაზეთების ფურცლებიდან გაუჩინარდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს არ ეპიტნავა და...

„ეფე", შენ რა კაცი ხარ?! „ძმაკაცს ცოლი „დააწერე", „იმდენად მშიშარა ხარ, თომასს პირისპირ ვერ დაელაპარაკე და ემალები", „ახლა შენს გამო 5 ბავშვი ტირის" — ამგვარი სათაურებით აჭრელდა ბოლო დღეებში გერმანული პრესა. ეს ხმაური და ახალი სკანდალი კი ორშაბათს ფეხბურთელის მიერ გაცხადებულ ახალ ამბავს მოჰყვა. ეფენბერგმა ცოლთან გაყრა გადაწყვიტა, აქაოდა სიყვარული გამინელდაო.

არ გეგონოთ, ფეხბურთელმა გულს გაგრილება მაინც აცალა. სანამ მარტინისადმი გრძნობები უნელდებოდა, იმავდროულად კლაუდია შტრუნცი უყვარდებოდა, ჰოდა, როცა მიხვდა, რომ კლაუდიამ მისი გული საბოლოოდ დაიპყრო, ეს ამბავი ტელევიზიით გააცხადა. ახლა უფრო დაწვრილებით.

### მე ჩემი გზით მივდივარ

ორშაბათს ტელეკომპანია ARD-ის ერთ-ერთ გადაცემაში მიწვეულმა ეფენბერგმა წამყვანს, სტუდიაში შეკრებილ ხალხს და ტელეეკრანებთან მსხდომებს მოულოდნელად თავზარდამცემი ამბავი უთხრა: „მეუღლეს ვშორდები, ჩემსა და მარტინას შორის სიყვარული გაქრა. ჩემი ახალი მეგობარი კლაუდია შტრუნცია. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, გრძნობების მართვა კი შეუძლებელია, ამიტომაც ერთად ყოფნა გადავწყვიტეთ. რატომ უნდა გავექცეთ სიყვარულს? ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ხალხი გაგვიგებს, თუ არა და, რა ვქნა, მე ჩემი გზა მაქვს, რომლიდანაც არასოდეს გადავუხვევ".

შეიძლება მიხვდით კიდეც, კლაუდია შტრუნცი მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელის, თომას შტრუნცის მეუღლე გახლავთ. შტრუნცი ორი წლის წინ წავიდა „ბაიერნიდან", კიოლნში დასახლდა და იქ სააგენტო გახსნა, რომელსაც „შტრუნცი და მეგობრები" ჰქვია. სააგენტო ფეხბურთელებს რეკომენდაციებითა და რჩევებით ეხმარება.

გუნდიდან წასვლამდე შტრუნცი და „ეფე" კარგი მეგობრები იყვნენ, რასაც შვიდი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. ხშირად მეუღლეებთან ერთად რესტორანშიც ვახშმობდნენ, შარშან ნოემბერში კლაუდიას დაბადების დღე ოთხეულმა უძვირეს რესტორანში ერთად აღნიშნა, ოჯახშიც ხშირად მიდი-მოდიოდნენ და...

„ერთხელაც აღმოვაჩინე, რომ ჩემი და კლაუდიას ურთიერთობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მეგობრობა" — აღიარა იმავე გადაცემაში ეფენბერგმა და დასძინა, სულაც არ ვთვლი, რომ თომასს ცოლი წავართვი და ჩვენს ამბავს ამგვარ ინტერპრეტაციას ნუ მისცემთო. ასე დაანგრია შტეფანმა 12 წლის ნაშენები ოჯახი, რომლის განმავლობაშიც ქვეყანას ეფენბერგების ორი პირმშო მოევლინა — ამჟამად 12 წლის ნოელ-ეტიენი და 5 წლის ანაკატრინი. მესამე შვილი, 16 წლის ნასტასია, მარტინას პირველი ქორწინებიდან ჰყავს.

ეფენბერგების ოჯახის საძირკველს, რომელიც მთელ გერმანიას ურყევი და დაუნგრეველი ეგონა, პირველი ბზარი რამდენიმე თვის წინ გაჩნდა, თუმცა თავიდან ცოლ-ქმარმა ეფენბერგებმა სკანდალისგან თავი შეიკავეს და შინაურულად მორიგება ამჯობინეს. ფეხბურთელს თავისი ცოლისა და მენეჯერისთვის აუხსნია, რომ მასთან თავს ბედნიერად ვეღარ გრძნობდა. მარტინაც ამ ამბავს მშვიდად შეხვედრია, მალე კი გაზეთებმა მიუნხენის ერთ-ერთი დისკობარის მეპატრონესთან გამოიჭირეს.

თუმცა თავიდან კრინტს ვერავინ ძრავდა, ყველა ფიქრობდა, „ეფეს" ცოლი ამას როგორ გაუბედავსო, მაგრამ სანამ მარტინა დისკო-ბარის მფლობელთან ერთობოდა, დიუსელდორფში სასტუმრო „რედისონში" შტეფანი კლაუდიასთან ნებივრობდა. და სად იყო ამ დროს თომას შტრუნცი? იგი ამ დროს „ჰანოვერის" საქმეებით იყო დაკავებული, ფეხბურთელებსა და კლუბს შორის ურთიერთობას აგვარებდა, იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ მისი ცოლი დიუსელდორფში დაიარებოდა, იქ სასტუმროში ნომერს იღებდა, სადაც გვიან შტეფანიც უერთდებოდა და...

არა მგონია, წყვილს ღამის 3-4 საათზე თეთრი ღვინო იმისთვის შეეკვეთა, რომ შემდეგ „ბაიერნის" და „ჰანოვერის" მომავალზე უფრო თამამად ემსჯელა. მით უმეტეს, სასტუმროს მომსახურე „ბილდს" გამოუტყდა, ღვინო რომ ამქონდა, „ეფე" აბაზანაში იმალებოდა, თუმცა მერე ანგარიშს ყოველთვის იგი ასწორებდაო.

### ვინ დაკარგა და ვინ იპოვა ეფემ

საკუთარი ოჯახი ხომ დაანგრია და შტეფანმა არც მეგობარი დაინდო. თომასი და კლაუდია 16 თვის წინ, 4 იანვარს ნიუ იორკში დაქორწინდნენ, თუმცა ურთიერთობა კარგა ხანია, ჰქონდათ, რაზეც პირველი ბავშვის ასაკიც მოწმობს, ლუსია უკვე სამი წლის გახლავთ, აი, ტომი კი ჯერ წლინახევრისაა.

რქების ამოსვლის ამბავი თომას შტრუნცსაც ტელევიზიით გაუგია და შოკში ჩავარდნილა. „ჩემი ცოლი ისევ მიყვარს, ჩემს პირად ცხოვრებაზე მეტს არაფერს გეტყვით" — ასეთი იყო შტრუნცის პირველი კომენტარი, რომლიდანაც ჩანს, რომ მას კიდევ ეიმედებოდა, ეგებ სმენამ მიმტყუნა ანაც ჩემს ძმაკაცს რაღაც შეცდომით წამოსცდაო. მაგრამ მერე, კლაუდიაც რომ აღარ მივიდა სახლში, გამწარდა და თქვა: „ეფე" არაკაცურად მოიქცა, ჩემს ზურგს უკან ჩალიჩობდა და ცოლი ისე დამაწერა, ჩემთვის არაფერი უთქვამს. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასეთი რამ ხდებოდა. ახლა ბავშვებთან მარტო ვარ. ყველაზე მეტად კი იმ მომენტის მეშინია, როცა მათთვის ამ ყველაფრის ახსნა მომიწევს".

შტეფანს რომ ჰკითხეს, ასე რატომ მოიქეცი, შენი საქციელით ხომ მეგობარი დაკარგეო, დაფიქრდა და უპასუხა, მეგობარი კი არ დავკარგე, საყვარელი ქალი ვიპოვეო.

აღსანიშნავია, რომ კლაუდია, ჯერჯერობით უკლუბოდ მყოფ 33 წლის ეფენბერგზე, სამი წლით უფროსია. ასევე „ეფეზე" უფროსია მისი ყოფილი მეუღლე მარტინაც, ოღონდ ორი წლით. ამაზე „ბილდმა" ირონიულად შენიშნა, როცა კაცი სხვა ქალთან მიდის, ახალი, როგორც წესი, მიტოვებულზე ახალგაზრდაა, ანაც თავად იმ კაცზე 10, 20 თუ 30 წლით უმცროსია, „ეფე" კი ახალ წესს ამკვიდრებსო.



კლაუდიას და შტეფანის გულებს თურმე ილმური ასდიოდა

ამასობაში გაზეთებმა კლაუდია კოლერის (ქალიშვილობის გვარია) წარსულიც გადაქექეს და აღმოაჩინეს, რომ ექს-შტრუნცი საკმაოდ წარმატებული მოდელი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც საკმაო ფულს შოულობდა, მაინც მწვერვალზე მყოფი მამაკაცებისკენ მიუწევდა გული. ჯერ იყო და, ცნობილ გერმანელ კომიკოს ოტო ვოლკესს საყვარლობდა, მერე მავან ფინანსისტს დამეგობრებია, მერე შტრუნცი შეჰყვარებია, რომელსაც ლამის თავი დააკარგვინა. სწორედ კლაუდიას გაცნობის მერე დაუწყია თომასს კოვბოის ტანსაცმლით სიარული და თმების ჯერ ქერად, მერე თეთრად, ბოლოს კი წითლად შეღებვა. ახლა, როგორც ჩანს, „ეფეს" ჯერია, თუმცა... როგორც ამბობენ, კლაუდია თურმე კომიკოს ვოლკესს ვერ ივიწყებსო.

### შენ მშიშარა ხარ, ეფე!

პირდაპირი, შეუდრეკელი, ბოლომდე წარბშეუხრელად მებრძოლი — აქამდე შტეფან ეფენბერგს ასე იცნობდნენ, მაგრამ...

თომასს თუ ელაპარაკეთ, ჰკითხეს ფეხბურთელს, მანაც გულახდილად თქვა (ვის მოატყუებდა, თორემ კი), არაო. ეს პასუხი იყო და „ბილდმა" პირში მიახალა: „შენ მშიშარა ხარ, „ეფე"!

ისე, თქმას ვინ ჩივის, როცა ამ ამბის გახმაურებიდან რამდენიმე საათის შემდეგ წყვილი მიუნხენის აეროპორტიდან გაფრინდა და 11 საათის შემდეგ ტაილანდში, ბანგკოკის აეროპორტში დაეშვა. შტეფანი და კლაუდია პირველ სასიყვარულო შვებულებაში არიან.

პაპარაცებმა კი მეორე დილით რვა საათზე სახლიდან ბავშვებთან ერთად გამოსული შტრუნცი დალანდეს. თომასს შვილები საბავშვო ბაღში მიჰყავდა. გოგო მთელი გზა ტიროდა, დედა კი ამ დროს მზეს ეფიცხებოდა ტაილანდში. ჰოდა, გერმანელებიც კითხულობენ, ის ქალი, რა ქალია, ბავშვებს რომ ასე მიატოვებს და სანებივროდ წავაო?

„ეფე" და კლაუდია ბანგკოკში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავებულან და პირველი ღამის დიდი ნაწილი ქალაქის ქუჩებში სეირნობით გაუტარებიათ — იმ ქალაქისა, რომლის ქუჩებშიც ცხოვრება საღამოს იწყება და ნაშუაღამევს პიკს აღწევს. „იქ ცხოვრება მართლაც რომ ჩქეფს, ათასობით ნათურა ბრდღვიალებს და რომ დადიხარ, გრძნობ, რომ ანგელოზების ქალაქში ხარ" — წერს „ბილდი".

და სად არიან ახლა „ეფეს" ყოფილი ცოლი და შვილები? ისინი ჯერ კიდევ წინა კვირის ბოლოს ამერიკაში გამგზავრებულან და როგორც ვარაუდობენ, სამუდამოდ. მაიამიში ეფენბერგებს საერთო ვილა აქვთ.

ნუთუ მხოლოდ ერთ ვილად დაუჯდება ფეხბურთელს ცოლთან განშორება? როგორც ამბობენ, მარტინა იმიტომ წასულა ამერიკაში, რომ განქორწინება იქ გააფორმოს, მერე კი ქმარს უჩივლოს და ამერიკული მკაცრი კანონებით, გვარიანი თანხაც დასცინცლოს.

რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით ჰერ ეფენბერგი? არც არაფერს, მას რომ ჰკითხოთ, მარტინა ისევ მისი მენეჯერია და მალე უკან უნდა დაბრუნდეს, რათა მის მსურველ კლუბებს მოლაპარაკება გაუმართოს. ვითომ ეგრე იქნება?

ან კი ვინ მოინდომებს მის წაყვანას, კაცის, რომელსაც რეპუტაცია და ავტორიტეტი შელახული აქვს და სამშობლოში საკუთარი ქომაგებისთვის შუა თითის აშვერა, თანამემამულე უმუშევრების გამლანძღავ და ძმაკაცისთვის ცოლის წამრთმევ კაცადღა იცნობენ. მისი მოედანზე ჩადენილი გმირობანი კი უკვე აღარავის ახსოვს...





ეფენბერგების ოჯახი დაინგრა...







– შტრუნცებისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 13 დღე

# რა მოხდა მერე
## შოტლანდიას ყველა ამარცხებს


ჯი-სუნგ პარკმა სკოტ სევერინს ხელიც წააშველა

REUTERS

### ს. კორეა

**სამხრეთ კორეა 4:1 შოტლანდია**

1:0 ჩ. ლი (15), 2:0 ანი (57), 3:0 იოონი (67), 3:1 დობი (74), 4:1 ანი (87)

**სამხრეთ კორეა:** ბ. კიმი, ტ. კიმი, ჰონგი (იოონი 66), ჯ. ჩოი (ჩ. ლი 46), ე. ლი, ი. ლი, იოო, ჩ. სონგი, ჩ. ლი (ჩოი 73), ჰვანგი (ანი 46), პარკი (ჩა 73)

**შოტლანდია:** სალივანი, მორის როსი, ვეირი, დეილი, ალექსანდერი (სტოკდეილი 63), ა. ჯონსტონი (კილი 66), კოლდუელი, ჯემილი, მაიკლ სტიუარტი (სევერინი 46), ტ. ოკონორი (ტ. უილიამსი 46), დობი

მსაჯი: ნაგილინგამ სანტამი (სინგაპური)

25 000 მაყურებელი

**შოტლანდიის** ნაკრებმა აგერ უკვე ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია, ბერტი ფოგტსის გაწვრთნელების მერე „კორეელებმა ფანტასტიკურად ითამაშეს, 1994 წლის შემდეგ მათ ძალიან მოუმატებიათ" — თქვა ნამატჩევს სქოთთა გერმანელმა მწვრთნელმა.

სამხრეთ კორეას კი მოუმატებია, მაგრამ შოტლანდიაზე იგივეს ვერ ვიტყვით. „მამაცმა გულებმა" ამჯერადაც „ღია კარის დღე" მოაწყვეს და მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძელს ოთხი ბურთი გაატანინეს.

პირველი უკვე მე-15 წუთზე გავიდა, სონგის გრძელი პასით ლიმ სქოთთა ცენტრალური მცველი დევიდ ვეირი და მეკარე ნილ სალივანი გააბითურა და ანგარიშიც გახსნა. მიუხედავად უპირატესობისა, კორეელები პირველ ნახევარში მინიმალურ ანგარიშს დასჯერდნენ. მეორე ტაიმში კი ბრიტანელთა ბადე შეცვლაზე შესულებმა შეარხიეს. შოტლანდიელთა ერთადერთი გოლი კი 74-ე წუთზე სკოტ დობიმ თავურით გაიტანა, ჯემილის ჩაწოდებული საჯარიმოთი.

კორეელთა ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი თავისი ბიჭების თამაშით მთლიანობაში კმაყოფილი დარჩა, თუმცა დასძინა, პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი ცოტა მოვდუნდით, თორემ შოტლანდიელთა განადგურება უკვე პირველსავე ნახევარში გვმართებდაო.

# გოლი თქვენი, დამტვრევა ჩვენი

### აშშ

**აშშ 5:0 იამაიკა**

1:0, ვოლფი (33), 2:0 მეტისი (47), 3:0 ვოლფი (48), 4:0 დონოვანი (84), 5:0 ბესლი (90)

**აშშ:** კელერი (მეოლა 53), პოუდუკი, მასტროეni, ბერჰალტერი (ლამისა 46), ვანეი (სანე 49), დონოვანი, კ. რეინა (ატონსი 46), ჯ. ობრაიენი (ლუისი 46), ე. სტიუარტი (მეტისი 46; ბესლი 63), ჯ. მური, ვოლფი

**იამაიკა:** ლოურენსი, ტ. მარშალი (ფ. დევისი 86), ლ. დიქსონი, სკარლეტი, მაკდონალდი, უიტმორი (ჯ. ჯონსონი 46), კ. კული (დ. ბარტონი 46), სიმპსონი (ტ. უილიამსი 62), ფოულერი (დეილი 63), ლოუ (ლისბი 62), უ. გრიფიტსი (მ. გრიფიტსი 57)

30 659 მაყურებელი

**ნიუ ჯერსის** „ჯაიანთ სტადიუმზე" მასპინძლებმა იამაიკელი სტუმრები ხუთი უპასუხო გოლით „დაასაჩუქრეს". რბევა ჯოშ ვოლფის თავურით დაიწყო, თუმცა იანკებმა პირველ ტაიმში ეს ერთი ბურთი იკმარეს, მეორეში კი კიდევ ოთხი მიაყოლეს.

თამაშის განახლებისთანავე, 47-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა კლინტ მეტისმა შეაგდო, ერთ წუთში კი ჯოშ ვოლფმა დუბლი მიითვალა. ამერიკელებმა მატჩის ბოლოსკენაც იფეთქეს — 84-ე წუთზე ლანდონ დონოვანმა, ხოლო მსაჯის წამატებულ წუთებზე მარკუს ბესლიმ იამაიკელთა საცოდაობას წერტილი დაუსვეს.

იამაიკელები კი მხოლოდ უხეშობით გამოირჩეოდნენ, რის გამოც სამი ამერიკელი დროზე ადრე იქნა შესაცვლელი. 53-ე წუთზე გოლკიპერი კეისი კელერი გაიყვანეს, რომელსაც მუხლში ქაცვებით ჩაარტყეს, 10 წუთის მერე მას მეორე გოლის გამტანი კლინტ მეტისი მიჰყვა. ამათზე ადრე კი ცენტრალური მცველი გრეგ ვანეი დაშავდა.

„ვფიქრობ, კარგი მატჩი ჩავატარეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოვირჩეოდით, როცა მეტოქეს მარწუხები მოვუჭირეთ. შემდეგ ამხანაგურში, ჰოლანდიასთან კიდევ უფრო კარგ თამაშს ვაჩვენებთ" — თქვა ნამატჩევს ამერიკელთა მწვრთნელმა ბრიუს არენამ. დაშავებულთაგან კი კეისი კელერი და კლინ მეტისი სერიოზულ ტრავმას გადაურჩნენ, ხოლო გრეგ ვანეის ამბავი ამ დღეებში გაირკვევა.


ამერიკელთა მეკარე კეისი კელერმა დაშავებამდე ერთი სახიფათო დარტყმა მოიგერია

REUTERS


ლი ვეიფენმა ალვარო რეკობას წონასწორობა დააკარგვინა

REUTERS

# აბრეუმ ბორა ვერ არია

### ჩინეთი | ურუგვაი

**ჩინეთი 0:2 ურუგვაი**

0:1, 0:2 აბრეუ (74, 87)

**ჩინეთი:** ჯიან ჯინი (ან კი 46), ჯუ ჩენიანგი (იანგ პუ 75), ფან ჟი (ჯან ენჟა 29), სუნ ჯიხაი (ხუ იუნლონგი 21), ლი ტი (ჯაო იაო 46), მა მინგიუ (ჯაო იუნჯე 46), სუ მაოჟენი (კუ ბო 46), ლი ვეიფენი (დუ ვეი 73), ლი ხაოჟენი (ლი მინი 60), კი ჰონგი, ჩენ იანგი (ჯან იუნინგი 60)

**ურუგვაი:** კარინი, გ. მენდესი (დ. პერესი 83), სორონდო, მონტერო (ნ. ოლივერა 70), მ. გარსია (მ. რომერო 64), დ. როდრიგესი (ეგურენი 84), გიგუ. ფ. ონილი, აბრეუ, რეგუერო (ფორლანი 60), რეკობა

50 000 მაყურებელი

**აი, ქვეყანა,** მაყურებლის ძებნამახილი არ გჭირდება. ამხანაგურ მატჩზე 50 ათასი ქომაგი უმალ შეიკრიბა. ისიც მოგეხსენებათ, ჩინელებმა, ბორა მილუტინოვიჩის თავკაცობით, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური პირველად რომ მოიპოვეს.

უნდა ითქვას, რომ მილუტინოვიჩს დებიუტანტის კვალობაზე არცთუ ურიგო გუნდი ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, მატჩი მეტწილად თანაბარ ბრძოლაში გაილია. პირველ ტაიმში სტუმარმა სებასტიან აბრეუმ, ერთი გოლი კი გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში ურუგვაელმა თავისი არ დაიშალა და დუბლი შეასრულა. მასპინძელთაგან შეცვლაზე შესულ ჟაო იუნჟის ორჯერ მიეცა საგოლე შანსი. ერთხელ მეკარემ მოიგერია, მეორედ კი ოდნავ ააცილა კარს.

მარცხის მიუხედავად, ბორა მილუტინოვიჩი სულაც არ გახლდათ უკმაყოფილო:


ბორა მილუტინოვიჩი ჩინელებმა ქვად აქციეს

„70 წუთის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით, მაგრამ ბოლოს ორი დასანანი გოლი გავუშვით. რას ვიზამთ, ეს ხომ ფეხბურთია. ურუგვაის ბრწყინვალე ნაკრები ჰყავს, შედეგი კი, ვფიქრობ, ჩვენთვის დამაკმაყოფილებელია".

**გაჩა ხუციშვილი**

# დუბლები და კაკაუ

### ბრაზილია

**ესპანიოლი B 0:5 ბრაზილია**

0:1 ედილსონი (41), 0:2 კაკაუ (61), 0:3, 0:4 რონალდინიო (70, 78), 0:5 ედილსონი (89)

**ბარსელონაში** დაბანაკებულმა ბრაზილიის ნაკრებმა იქაური „ესპანიოლის" სარეზერვო გუნდთან წაივარჯიშა და 5:0 მოიგო. ესპანეთის მესამე დივიზიონში ჩაკარგული „ესპანიოლი B" ტეტრაკამპეონებს, რომლებიც ბარსელონელი რივალდოს, რეალელი რობერტო კარლოსის, ლევერკუზენელი ლუსიოს, გრემიოელ ანდერსონ პოლგასა და კორინთიანსელი დიდასა და ვამპეტას გარეშე თამაშობდნენ, 41-ე წუთამდე, ედილსონის გოლამდე უძალიანდებოდა. მანამდე და მეორე ტაიმშიც ორი-სამი კარგი საგოლე მომენტი რონალდოსაც ჰქონდა, თუმცა ინტერელის გასაკეთებელი მის ნაცვლად შესულმა პსჟ-ელმა რონალდინიომ გააკეთა. რონალდინიომ ორი გოლი შეაგდო, თავისი გასატანი კაკაუმაც მიითვალა, მატჩის მიწურულს კი, რონალდინიოს მსგავსად, დუბლი ედილსონმაც შეასრულა.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები მომდევნო მატჩს კატალონიის ნაკრებთან ჩაატარებენ, რომელშიც, ალბათ, კვლავ რივალდოსა და ლუსიოს გარეშე მოუწევთ გარჯა — ამათ უმნიშვნელო ტრავმები ისევ აწუხებთ.


თანაგუნდელებმა დენილსონს და რივალდოს ხუთი გოლი ანახეს

REUTERS

# ბუნდესპრობლემები
## მთავარი მაინც ჯანმრთელობაა

### გერმანია

**კრისტიან ვიორნსი** მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს, მუხლი ტკივა — ასეთი განცხადება გააკეთა ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბუნდესნაკრების თავკაცმა რუდი ფიოლერმა საკმაოდ დიდხანს იფიქრა. ის ვიორნსს აკვირდებოდა და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 30 წლის ფეხბურთელი მოახლოებული ჩემპიონატისთვის მზად ვერანაირად იქნებაო. შესაბამისად, იაპონიისა და კორეის სტადიონებზე მის ნაცვლად ბრემენის „ვერდერის" მცველი ფრანკ ბაუმანი ითამაშებს.

ამრიგად, ვიორნსი უკვე მეორე ცენტრალური მცველია, რომელიც გერმანიის ეროვნულმა გუნდმა მოისაკლისა. პირველი გახლდათ ლევერკუზენელი იენს ნოვოტნი. ფიოლერის დანაკარგთა შორის ასევე მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი მეჰმეთ შოლიც, რომელიც სრულად ვერ გამოჯანსაღდა. მაგრამ, ნოვოტნისა და შოლის ამბავი ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი, ფიოლერს მუნდიალზე წასაყვანთა 23-კაციანი სია ჯერ გამოქვეყნებული რომ არ ჰქონდა.

— ძნელია, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, ვიორნსი ჩემპიონატისთვის გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს — განაცხადა გულდაწყვეტილმა ფიოლერმა, ხოლო თავად ვიორნსმა, რომელიც ბუნდესნაკრების შემადგენლობაში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც იყო და ევრო 2000-ზეც დასძინა, ჩემი ყველაზე დიდი სურვილი მსოფლიოზე თამაში გახლდათ, მაგრამ...

„რა გაეწყობა, ვინაიდან ფეხბურთის თამაშს კიდევ რამდენიმე წელიწადს ვაპირებ, ახლა აჩქარებას, მშვიდად და საფუძვლიანად გამოჯანმრთელება მიჯობს. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ადამიანისთვის ჯანმრთელობაა".

ამასობაში გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ბოლო ამხანაგურ მატჩს მართავენ. ისინი დღეს ლევერკუზენში ავსტრიას ხვდებიან. აზიის გზას კი რუდი ფიოლერის ნაკრები ოთხშაბათს გაუდგება.

ავსტრიელებთან შეხვედრაში კი გერმანელებმა იქნებ ხასიათი გამოისწორონ, წინა მატჩში უელსთან დამარცხების შემდეგ (0:1) შელახული თავმოყვარეობა აღიდგინონ და მოგებით გაეშურონ შორეული აღმოსავლეთისკენ. ამ ბოლო შეხვედრაში ფიოლერის განკარგულებაში ის ლევერკუზენელი ფეხბურთელებიც იქნებიან, რომლებმაც ოთხშაბათს, გლაზგოში, ჩემპიონთა ლიგის ფინალი ითამაშეს და მადრიდის „რეალთან" 1:2 წააგეს, თუმცა, სავარაუდოდ, ისინი სათადარიგოთა სკამზე იქნებიან.

„მათ დასვენება სჭირდებათ" — განმარტა ფიოლერის თანაშემწე მიხაელ სკიბემ.

თუმცა, ცხოვრება მხოლოდ ცუდი ამბებისგან არ შედგება. აი, მაგალითად, ბერლინის „ჰერტას" კოჭნატკენი მცველი მარკო რემერი გამოჯანმრთელდა და დღეს ავსტრიელებს დაუდგება.

შეგახსენებთ, რომ გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონატზე E ჯგუფში ირლანდიელებს, საუდელებს და კამერუნელებს შეეცილებიან მერვედფინალში გასვლის უფლებას. პირველ შეხვედრას ისინი 1 ივნისს, საპოროში საუდის არაბეთის ნაკრებთან გამართავენ.

**ბაჩუნა ძიძია**


კრისტიან ვიორნსმა (მარცხნივ) მსოფლიო დაკარგა

### ბელგია

*მეკარეები:* გერტ დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ფრედერიკ ერპოელი (გენტი), ფრენკი ვანდენდრეშე (მუსკრონი);

*მცველები:* გლენ დე ბოეკი (ანდერლეხტი), ერიკ დეფლანდრე (ლიონი, საფრანგეთი), ჟაკო პეეტერსი (გენტი), დანიელ ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი), პეტერ ვან დერ ჰიდენი (ბრიუგე), ნიკო ვან კერკჰოვენი (შალკე, გერმანია), ერიკ ვან მეირი (სტანდარდი);

*ნახევარმცველები:* დენი ბოფონი (სენტ ტრუიდენი), გაეტან ენგლებერტი (ბრიუგე), ბარტ გოორი (ჰერტა, გერმანია), ტიმი სიმონსი (ბრიუგე), ბერნდ ტიისი (გენკი), ივ ვანდერჰეგე (ანდერლეხტი), გერტ ვერჰეინი (ბრიუგე), სვენ ვერმანტი (შალკე, გერმანია), იოჰან ვალემი (სტანდარდი), მარკ ვილმოტსი (შალკე, გერმანია);

*თავდამსხმელები:* მბო მპენზა (მუსკრონი), ბრანკო შტრუპარი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ვესლი სონკი (გენკი)

### სლოვენია

*მეკარეები:* მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), დეიან ნემეცი (ბრიუგე, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);

*მცველები:* სპასოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), მარინკო გალიჩი (სპორტლინგ კოპერი), ალექსანდრ კნავსი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჟელკო მილინოვიჩი (ჯეფ იუნაიტედი, იაპონია), გორან სანკოვიჩი (სლავია, ჩეხეთი), მუამერ ვუგდალიჩი (მარიბორი);

*ნახევარმცველები:* მილენკო აჩიმოვიჩი (ტოტენჰემი, ინგლისი), ალეშ ჩეჰი (გრაცერი, ავსტრია), ნასტია ჩეჰი (ბრიუგე, ბელგია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), ამირ კარიჩი (მარიბორი), ჯონი ნოვაკი (უნტერჰახინგი, გერმანია), მირან პავლინი (პორტუ, პორტუგალია), ზორან პავლოვიჩი (აუსტრია, ავსტრია), რაიკო ტავკარი (ნიურნბერგი, გერმანია), ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია);

*თავდამსხმელები:* სებასტიან ციმეროტიჩი (ლეჩე, იტალია), მილან ოსტერცი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), მლადენ რუდონია (პორტსმუთი, ინგლისი), სენად ტიგანი (ოლიმპია)

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 13 დღე

# დიაგნოზი: ქალი? ოხერია...

### საფრანგეთი

**მათთვის,** ვისაც საფრანგეთის ნაკრები გულზე არ ეხატება: ლურჯების ექიმმა, ჟან-მარსელ ფერემ განაცხადა, რომ ფეხბურთელები ისე ჯანმრთელები, როგორც ოთხი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იყვნენ, არ არიან.

მოგახსენებთ, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, ჯერჯერობით 21 კაცი, ნაკრების ბაზაზე კლაიერეფონტანში დაბანაკდნენ. შესაბამისად, ექიმი ფერე მათ ყოველდღიურ გამოკვლევას უტარებს და ასკვნის, რომ 98-ის მაისში ისინი გაცილებით დასვენებულნი და ჯანსაღნი იყვნენ. ამასთან, ფრანგთა პირველი თამაში კარსაა მომდგარი და საეჭვოა, მათ დასვენება ან უმაღლეს დონეზე მომზადება მოასწრონ.

„ოთხი წლის წინ რეაბილიტაციისთვის სამი კვირა გვქონდა — ბრძანებს მუსიე ფერე — ამიტომაც ყველაფერს მშვიდად და თანმიმდევრულად ვაკეთებდით. ახლა კი ჩვენს განკარგულებაში ერთი კვირით ნაკლებია და მოთამაშეებს დასვენების საშუალებას, ფაქტობრივად, ვერ ვაძლევთ. ეს კი ცუდია, ვინაიდან ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველივე დღიდან დაძაბულები და დაღლილები იქნებიან. ერთადერთი გამოსავალი ისღა გვაქვს, რომ მათი დღევანდელი მზადყოფნა და ფიზიკური ფორმა ათვლის წერტილად მივიჩნიოთ, დავაკვირდეთ და აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ხელის შეწყობა ვცადოთ".

ექიმი ფერე, იმასაც ბრძანებს, ფეხბურთელთა მდგომარეობა თანაბარი არ არის, ზოგი უკეთეს ფორმაშია, ზოგიც უარესში. კერძოდ, ინგლისის ჩემპიონები, პატრიკ ვიეირა და ტიერი ანრი ყველაზე მეტად ყოფილან გამოწურულნი, ამასთან, ვიეირას თურმე კოჭი სტკივა, ხოლო ანრის მუხლი ახსენებს მუდმივად თავს.

„რაც ჩვენთან ჩამოვიდა, ანრის წესიერად ერთხელაც არ უვარჯიშია და ამიტომ ბელგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მისი მონაწილეობა მიზანშეწონილი არ არის" — თქვა ექიმმა, რომელიც საზოგადოდ, ასეთი აზრისაა: „ძალიან მნიშვნელოვანია მოთამაშეთა ფორმა მეტ-ნაკლებად გავათანაბროთ, რადგან ერთნაირად მომზადებული რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი უნდა გვყავდეს".

ამის გარდა, ფერე წინა ჩემპიონატისგან მნიშვნელოვან განსხვავებად შეიდსაათიან სხვაობასა და თბილ კლიმატს მიიჩნევს.

„კიდევ კარგი, შარშან იაპონიაში კონფედერაციათა თასზე ვითამაშეთ და მეტ-ნაკლები გამოცდილება მივიღეთ" — იხსენებს ექიმი შეჯიბრებას, რომლის ფინალშიც ლურჯებმა იაპონელებს 1:0 მოუგეს.

როგორც ირკვევა ფერე არაფერს მალავს. მას ნაკრების და ფრანგული ფეხბურთის ხელმძღვანელთათვის გადაუცია იმ პრეპარატების სრული სია, რომელთა გამოყენებასაც გეგმავს.

„არადა, ბოლო დროს, რატომღაც ბევრი ჩვეულებრივი წამლის მიღება აკრძალეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ხველების საწინააღმდეგო სიროფის დალევაც კი არ შეიძლება" — გაოცებულია ფრანგი ექიმი.

მედიცინის ის დარგი კი, ფსიქოლოგია რომ ეწოდება, ფერეს აზრით, საგანგებოდ გამოსაყენებელი არ არის. ხოლო ქალების ამბავი ასეა:

„მსოფლიოს ჩემპიონატზე ცოლების და მეგობარი გოგონების წაყვანა კარგ ეფექტს სულაც არ იძლევა. მეტიც, დამღუპველია".

ასე და ამგვარად, ფრანგი ფეხბურთელები ცოლებს პირველ თამაშამდე ორი დღით ადრე დაემშვიდობებიან, მერე კი ენერგიის ხარჯვა მხოლოდ მოედანზე მოუწევთ.

**ბაჩუნა ძიძია**


ტიერი ანრიმ, პატრიკ ვიეირამ და სილვენ ვილტორდმა სანაკრებოდ ძალა არ შემოინახეს

### არგენტინა

**არგენტინის** ნაკრები პირველია გრანდთაგან, ვინც იაპონიაში უკვე ჩავიდა. საერთოდ კი არგენტინაზე უწინ ამომავალი მზის ქვეყანაში კოსტა რიკის ნაკრებმა ჩაუშვა ღუზა.

თუმცა კოსტარიკელების გამოჩენას ნამდვილად არ გამოუწვევია ის აჟიოტაჟი, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტის ჩასვლას მოჰყვა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონების თვითმფრინავი ტოკიოს აეროპორტში დაეშვა, საიდანაც სამხრეთამერიკელებმა დედაქალაქიდან 200 კილომეტრზე მდებარე ფუკუშიმასკენ აიღეს გეზი.

არგენტინელებს მედია და ფანების არმია აეროპორტშივე დახვდა. ყველაზე მხიარულად კამერების წინ მომღიმარი გაბრიელ ომარ ბატისტუტა გამოიყურებოდა, ხუან სებასტიან ვერონი კი ცოტა არ იყოს, დაღვრემილი ჩანდა.

იაპონელების ყურადღება არგენტინელებს არც შემდგომში მოჰკლებიათ. საწვრთნელ ბაზაზე მისულებს ჟურნალისტებთან ერთად ბავშვებიც დახვდნენ, რომლებიც არგენტინის პატარა დროშებს იქნევდნენ და ესპანურად ესალმებოდნენ. იაპონიის ტელევიზიამ არგენტინელთა ფუკუშიმაში ჩასვლას საგანგებო სიუჟეტი მიუძღვნა.

# HOLA JAPAN


REUTERS ფოტოები

არგენტინელები ტოკიოში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. 2001-2002

## მოდი, დავითვალოთ ლიგა



ყველაზე მეტი რუუდ ვან ნისტელროიმ გაიტანა

ჩემპიონთა ლიგამ კიდევ ერთი სეზონი ჩაამთავრა და დათვლის დროც დადგა. მთავარი უკვე დავითვალეთ — „რეალისთვის" ოთხშაბათს მოგებული თასი მეცხრე იყო. ამ მონაცემებს , ქვემოთ რომ წარმოგიდგენთ, დიდი მნიშვნელობა არც აქვს, მაგრამ საინტერესო კი უნდა იყოს.



ედგარ დავიდსი ყველაზე მეტჯერ გააფრთხილეს და გააძევეს

### ბომბარდირები

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნაიტედი | 10 | 0,83 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | 8 | 0,95 |
| ტიერი ანრი | არსენალი | 7 | 0,71 |
| ოლე გუნარ სოლსკიაერი | მანჩესტერ იუნაიტედი | 7 | 1,13 |
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი | 6 | 0,45 |
| დიეგო ტრისტანი | დეპორტივო | 6 | 0,75 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | 6 | 0,82 |
| პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა | 6 | 0,46 |
| მიხალის კონსტანტინუ | პანათინაიკოსი | 6 | 0,62 |
| რაული | რეალი | 6 | 0,56 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | 5 | 0,45 |
| ლუის ენრიკე | ბარსელონა | 5 | 0,49 |
| ოლივერ ნოივილი | ლევერკუზენი | 5 | 0,49 |

### საგოლე პასი

| ფეხბურთელი | კლუბი | პასი | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| ჰასან სალიჰამიჯიჩი | ბაიერნი | 5 | 0,74 |
| ბერნდ შნაიდერი | ლევერკუზენი | 5 | 0,35 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნაიტედი | 5 | 0,41 |
| ხუან სებასტიან ვერონი | მანჩესტერ იუნაიტედი | 5 | 0,45 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | 4 | 0,36 |
| იან მიკაელსენი | პანათინაიკოსი | 4 | 0,54 |
| რივალდო | ბარსელონა | 4 | 0,45 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | 4 | 0,36 |
| ილდირაი ბაშთურქი | ლევერკუზენი | 4 | 0,32 |
| ზე რობერტო | ლევერკუზენი | 4 | 0,3 |

### კარში დარტყმა

| ფეხბურთელი | კლუბი | დარტყმა | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნაიტედი | 26 | 2,15 |
| დეკო სოუზა | პორტუ | 24 | 2,31 |
| რაული | რეალი | 24 | 2,22 |
| რივალდო | ბარსელონა | 24 | 2,68 |
| დიეგო ტრისტანი | დეპორტივო | 22 | 2,74 |
| ტიერი ანრი | არსენალი | 21 | 2,14 |
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი | 18 | 1,34 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 18 | 2,14 |
| პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა | 18 | 1,38 |
| ერვინ სანჩესი | ბოავიშტა | 18 | 1,89 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | 18 | 2,14 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | 17 | 1,55 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | 17 | 2,32 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | 17 | 1,97 |
| ოლივერ ნოივილი | ლევერკუზენი | 17 | 1,53 |

### კარისკენ დარტყმა

| ფეხბურთელი | კლუბი | დარტყმა | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი | 29 | 2,15 |
| გაბრიელ ბატისტუტა | რომა | 21 | 2,56 |
| რივალდო | ბარსელონა | 20 | 2,23 |
| ერვინ სანჩესი | ბოავიშტა | 20 | 2,1 |
| მიხალის კონსტანტინუ | პანათინაიკოსი | 18 | 1,87 |
| პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა | 17 | 1,31 |
| ტიერი ანრი | არსენალი | 16 | 1,63 |
| ირჟი იაროშიკი | სპარტა | 16 | 1,48 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | 16 | 1,45 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | 15 | 1,36 |
| კლეიტონი | პორტუ | 14 | 2,19 |
| რაული | რეალი | 14 | 1,3 |
| უმით კარანი | გალათასარაი | 14 | 1,74 |
| ხუან სებასტიან ვერონი | მანჩესტერ იუნაიტედი | 14 | 1,25 |

### ყველაზე მეტჯერ თამაშგარეთ

| ფეხბურთელი | კლუბი | მოხვდა | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნაიტედი | 31 | 2,56 |
| ტიერი ანრი | არსენალი | 29 | 2,95 |
| ოლივერ ნოივილი | ლევერკუზენი | 24 | 2,16 |
| მიხალის კონსტანტინუ | პანათინაიკოსი | 21 | 2,18 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 20 | 2,38 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | 20 | 2,72 |
| ემილ ჰესკი | ლივერპული | 20 | 1,71 |
| გაბრიელ ბატისტუტა | რომა | 19 | 2,32 |
| უმით კარანი | გალათასარაი | 19 | 2,36 |
| თომას ბრდარიჩი | ლევერკუზენი | 16 | 4,06 |
| მარკო დელვეკიო | რომა | 16 | 4,42 |
| დიეგო ტრისტანი | დეპორტივო | 16 | 2 |
| დუდა ვენტურა | ბოავიშტა | 16 | 1,76 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | 16 | 1,9 |
| ნუნო კაპუშუ | პორტუ | 15 | 1,44 |

### დაჯარიმდნენ

| ფეხბურთელი | კლუბი | ფოლი | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| ემილ ჰესკი | ლივერპული | 48 | 4,1 |
| ემრე ასიქი | გალათასარაი | 38 | 3,84 |
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი | 34 | 2,52 |
| დიეგო პლასენტე | ლევერკუზენი | 34 | 2,43 |
| პატრიკ ვიეირა | არსენალი | 34 | 3,43 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნაიტედი | 31 | 2,56 |
| დიტმარ ჰამანი | ლივერპული | 30 | 3,12 |
| მიხალის კონსტანტინუ | პანათინაიკოსი | 29 | 3,01 |
| მარიუ სილვა | პორტუ | 29 | 3,09 |
| ნუნო კაპუშუ | პორტუ | 28 | 2,69 |
| ხესუს პენა | პორტუ | 28 | 3,42 |
| კარლეს პუიოლი | ბარსელონა | 28 | 2,29 |
| პოლ სქოულზი | მანჩესტერ იუნაიტედი | 28 | 2,55 |

### ეუხეშნენ

| ფეხბურთელი | კლუბი | ფოლი | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| დიმიტრიოს კარაგუნისი | პანათინაიკოსი | 71 | 6,78 |
| ილდირაი ბაშთურქი | ლევერკუზენი | 64 | 5,16 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | 52 | 5,32 |
| რივალდო | ბარსელონა | 46 | 5,13 |
| ზე რობერტო | ლევერკუზენი | 45 | 3,35 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 43 | 5,12 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | 40 | 4,63 |
| დეკო სოუზა | პორტუ | 37 | 3,56 |
| ლუსიო | ლევერკუზენი | 37 | 2,57 |
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი | 36 | 2,67 |
| ემილ ჰესკი | ლივერპული | 36 | 3,07 |
| ჰასან შაში | გალათასარაი | 35 | 3,57 |
| ხუან კარლოს ვალერონი | დეპორტივო | 35 | 4,15 |
| ნუნო კაპუშუ | პორტუ | 34 | 3,27 |
| დუდა ვენტურა | ბოავიშტა | 34 | 3,73 |
| სანტიაგო სოლარი | რეალი | 33 | 3,86 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | 32 | 2,91 |
| ლიბორ სიონკო | სპარტა | 31 | 2,92 |

### ყვითელი ბარათი

| ფეხბურთელი | კლუბი | ბარ. |
|---|---|---|
| ედგარ დავიდსი | იუვენტუსი | 6 |
| ლუის ენრიკე | ბარსელონა | 6 |
| კარლეს პუიოლი | ბარსელონა | 5 |
| ლიონელ სკალონი | დეპორტივო | 5 |
| ფილიპ კოკუ | ბარსელონა | 4 |
| კოშტინია | პორტუ | 4 |
| დიტმარ ჰამანი | ლივერპული | 4 |
| ჰასან შაში | გალათასარაი | 4 |
| ივან ელგერა | რეალი | 4 |
| სოტირის კირიაკოსი | პანათინაიკოსი | 4 |
| პაველ ნედვედი | იუვენტუსი | 4 |
| იენს ნოვოტნი | ლევერკუზენი | 4 |
| დიეგო პლასენტე | ლევერკუზენი | 4 |
| პოლ სქოულზი | მანჩესტერ იუნაიტედი | 4 |
| ბორის ჟივკოვიჩი | ლევერკუზენი | 4 |

### საერთო ჯამში გოლები გავიდა

| | |
|---|---|
| 1-15 წუთში | 52-ჯერ |
| 16-30 წუთში | 54-ჯერ |
| 31-45 წუთში | 64-ჯერ |
| I ტაიმის წამატებულ დროში | 6-ჯერ |
| 46-60 წუთში | 61-ჯერ |
| 61-75 წუთში | 76-ჯერ |
| 76-90 წუთში | 62-ჯერ |
| II ტაიმის წამატებულ დროში | 18-ჯერ |

სულ გავიდა 393 ბურთი

### წითელი ბარათი

| ფეხბურთელი | კლუბი | ბარ. |
|---|---|---|
| ედგარ დავიდსი | იუვენტუსი | 2 |
| მარსიო ამოროზო | დორტმუნდი | 1 |
| კაპონე | გალათასარაი | 1 |
| ეშლი კოული | არსენალი | 1 |
| ფერი დე ჰაანი | ფეიენოორდი | 1 |
| ალდო დუშერი | დეპორტივო | 1 |
| სამუელ ეტოო | მალიორკა | 1 |
| ჯოვანი | ოლიმპიაკოსი | 1 |
| ჰაქან უნსალი | გალათასარაი | 1 |
| ტომაშ ჰუბშმანი | სპარტა | 1 |
| მაიკლ ჯონსონი | ფენერბაჰჩე | 1 |
| ჟუნინიო | ლიონი | 1 |
| ოლეგ ლუჟნი | არსენალი | 1 |
| რეი პარლოუ | არსენალი | 1 |
| ჰასან სალიჰამიჯიჩი | ბაიერნი | 1 |
| ლიონელ სკალონი | დეპორტივო | 1 |
| კარლუშ სეკრეტარიუ | პორტუ | 1 |
| ულრიხ ვან გობელი | ფეიენოორდი | 1 |
| პიერ ვან ჰოიდონკი | ფეიენოორდი | 1 |
| მარიო იეპესი | ნანტი | 1 |

**რეალი (ესპანეთი)**

კარისკენ დარტყმა: 85; კარში დარტყმა: 106; დაჯარიმდა: 216; კუთხური: 95; თამაშგარე: 25; ბურთის ფლობა (წუთობრივად): 28 წუთი; ბურთის ფლობა (პროცენტულად): 51%; გაიტანა: 33 ბურთი; მიიღო: 13 ბურთი; გაფრთხილება: 23; გაძევება: 0

**ლევერკუზენი (გერმანია)**

კარისკენ დარტყმა: 110; კარში დარტყმა: 97; დაჯარიმდა: 267; კუთხური: 96; თამაშგარე: 84; ბურთის ფლობა (წუთობრივად): 30 წუთი; ბურთის ფლობა (პროცენტულად): 55%; გაიტანა: 28 ბურთი; მიიღო: 26 ბურთი; გაფრთხილება: 34; გაძევება: 0

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA PLAYOFFS პლეი ოფი კონფერენციების ფინალები

# ამ ოთხიდან მოკვდება ორი



„ნეთსის“ ყველაზე დიდი შანსი: ჯეისონ კიდი



ბოსტონელებს მფრინავიც ჰყავთ: პოლ პირსი

ჩაირიხინა პლეი ოფის პირველმა ორმა წრემ და თან წაიყოლა ნბა-ს ოქროზე დაგეშილი გუნდების დიდი ნაწილი. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ოთხი რჩეულიღა შერჩა და ახლა ამათი ჯახები გაახალისებს კალათბურთით მოსეირეთ.

ზოგადად კალათბურთის ქომაგთა იდეალისტი ნაწილი უცილობლად იტყოდა, რა რჩეულები აღმოსავლელები არიან, დასავლეთში ფინალამდე მაგათ ვინ მიუშვებდაო, მაგრამ ასეთია პლეი ოფის მოწყობის სისტემა და სიმართლე ითქვას, არც არავინ ჩივის. უბრალოდ, ასე დაემთხვა, მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ საუკეთესოებმა დასავლეთში მოიყარეს თავი. აგერ, ფინალისტობის ორი აღმოსავლელი კანდიდატიდან არც ერთი არ მოხვედრილა ბოლო სამ პლეი ოფში და უცებ კონფერენციის ფინალში ეჯახებიან ერთმანეთს.

ასეა თუ ისე, ამ უქმეებზე მცირე ფინალური სერიები იწყება და ჩვენც ორი სიტყვით დავაზომოთ მეტოქენი ერთმანეთს.

## აღმოსავლეთი

### ნიუ ჯერსი VS ბოსტონი

**წლევანდელი რეგულარული სეზონის შედეგი 1:3**

**ლიდერები პლეი ოფში**

ჯეისონ კიდი (20,3 ქულა, 8,2 პასი, 6,9 მოხსნა), კენიონ მარტინი (16,2 ქულა, 5,9 მოხსნა), კიტ ვან ჰორნი (14,8 ქულა, 7,1 მოხსნა)

პოლ პირსი (25,2 ქულა, 8,6 მოხსა, 4,3 პასი), ანტუან უოლკერი (21,9 ქულა, 7,9 მოხსნა), კენი ანდერსონი (11,6 ქულა, 4,4 პასი)



„ნიუ ჯერსი“ კიტ ვან ჰორნისგან ქულებს გამოელის



„სელტიქსის“ ანტუან უოლკერს ნაკლები ჯაჭლანი და მეტი საქმე მოუწევს

„მდაბიო“ გუნდი „ნიუ ჯერსი ნეთსი“ პირველად ამოცოცდა ამ სიმაღლეზე და უფრო ზევით ანაცვლებაზეც არ იტყვის უარს. ამისთვის მას „არისტოკრატ“ და ნბა-ს ყველაზე უხვტიტულიან „ბოსტონზე“ გადაბიჯება მოუწევს, რომელიც თავის მხრივაც ეს ბოლო წლებია, ჩამომდაბიორდა და ახლაღა უბრუნდება ელიტას.

წლეულს „ნიუ ჯერსის“ ფანტასტიკური სეზონის ჰქონდა. მის ლიდერ ჯეისონ კიდს ცოტა დააკლდა სეზონის უძვირფასესობამდე, ხოლო მწვრთნელ ბაირონ სკოტს — კოლეგათა შორის საუკეთესოდ აღიარებამდე. სამაგიეროდ, „ნეთსმა“ არსებობაში პირველად იპირველა აღმოსავლეთში, ჯერ მხოლოდ რეგულარულში და „ბადეები“ იმედოვნებენ, პლეი ოფშიც დაიპყრობენ კონფერენციას, მერე კი ფინალში ვინძლო წაგებაზეც წინასწარ დაყაბულდნენ. დიდქალაქის გარეუბნელთა იმედი ჯადოგამთამაშებელ ჯეისონ კიდზე ჰკიდია. კიდი მთელი პლეი ოფია, ბობოქრობს. მართალია, პლეი ოფში თანაგუნდელებს პასები ოდნავ შეუმცირა, მაგრამ არავინ ჩივის, რადგან თავად მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით საშინლად ბევრს ჰყრის, თან მაშინ, როცა მის გუნდს ქულების წყურვილი ჰკლავს.

თავისი მე-17 ნბა-ური ტიტულისკენ დაძრული „ბოსტონ სელტიქსის“ მთავარი თავში საცემი სწორედ კიდია. „კელტები“ ჯეისონთან საორთაბრძოლოდ მასზე 6-7 სანტიმეტრით დაბალ და ბევრად მსუბუქ გამთამაშებელ კენი ანდერსონს ამზადებენ. თუმც გული მაინც ვერა აქვთ მშვიდად და იქნებ სხვა აადევნონ კიდს. „კელტებს“ კარგად გამოცდილი ზონური დაცვისაც ეიმედებათ და ვინძლო კიდიანთა წინ სწორედ ზონური და არა ინდივიდუალური დაცვის ბადე მოქსოვონ.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბოსტონის“ მოძრავ სიმაგრეს ანტუან უოლკერს ჯერსელთაგან მასავით ჯაჯღანა და ოდნავ მოქნილი კენიონ მარტინი აედევნება და თავს მოიკლავს, რათა უოლკერის საშუალო შედეგიანობა ასე, ხუთი ქულით შეამციროს. მაგრამ ვის გამოიყენებენ პოლ პირსის შესაბორკად, ეს თავად ნიუჯერსელებმაც არ იციან და პირველ რიგში ამის დარდი ჰკლავთ. წლევანდელი რეგულარულის ოთხ თამაშში პირსმა საშუალოდ 37 ქულა ჩაუგდო „ბადეებს“ და ისე ჩანს, „ნეთსი“ ვერც ამჯერად გააკავებს ფრენის ეშხში შესულ ამ სუპერყმაწვილს.

## დასავლეთი

### საკრამენტო VS ლეიკერსი

**წლევანდელი რეგულარული სეზონის შედეგი 1:3**

**ლიდერები პლეი ოფში**

კრის ვებერი (23,2 ქულა, 10,8 მოხსნა), მაიკ ბიბი (18,3 ქულა, 5,4 პასი), ვლადე დივაცი (12,8 ქულა, 8,8 მოხსნა), დუგ კრისტი (12,1 ქულა, 5,4 პასი)

კობი ბრაიანტი (26,1 ქულა, 5,5 მოხსნა, 4,9 პასი), შაკილ ონილი (23,0 ქულა, 11,9 მოხსნა, 2,5 დაფარება), დერიკ ფიშერი (11,0 ქულა)



კრის ვებერი: საკრამენტოელი „მეფეთ“- მეფე


კობი ბრაიანტი „ლეიკერსის“ ორთავ თვალის სინათლეა

როდესაც საქმე სტატისტიკაზე მიდგება, მაგალითად, რეგულარულ ჩემპიონატში მოგებული თამაშების ოდენობაზე, ანაც ამ თამაშებში ჩაგდებულ ქულათა სიუხვეზე, საკრამენტოელ „მეფეებს“ ბადალი არა ჰყავთ. მათ მოიგეს რეგულარულში ყველაზე მეტი, 61 თამაში და პლეი ოფშიც მოგება-წაგებათა ბალანსი 7-2 აქვთ. თავადაც ბარაქიანად შემტევმა „საკრამენტომ“ პლეი ოფიდან გააძევა ქულების მბეჭდავ მანქანად ქცეული „დალასი“, მაგრამ, საკითხავი ისაა, რამდენად კარგად მოემზადნენ „მეფეები“ „მსოფლიოს დამპყრობელ“, აგერ, მესამე წელია, უძლეველ „ლეიკერსთან“ საომრად.

ლოსანჯელესელთა ძლიერებაზე ციფრები აღარ მეტყველებს, თუნდაც შაკილ ონილის საშუალო შედეგიანობა ამ მონსტრისთვის თითქოსდა სამარცხვინო 23 ქულამდე დაცემულა, პოდა „ლეიკერსის“ ბატონობით თავმობეზრებული საკალათბურთო სამყარო ფრიად გაიხარებდა, თუ ვინმე რეალურად ისარგებლებდა ონილის ძვირქულიანობით.

„საკრამენტო“ ბედნიერი იქნებოდა, უძლეველი ფალავნის წაქცევა რომ შეძლებოდა, მაგრამ, სხვათა შორის, იგივე სტატისტიკიდან მისი გამარჯვება არ ჩანს. „ლეიკერსმა“ ბოლო ორი პლეი ოფიდან გაყარა „მეფეები“, ამასთან მონარქთა რეზიდენციაში ბოლო ექვსი მიხდომიდან ხუთჯერ ნადავლით დაბრუნდა და ვინ მოჰყვება იმ ლამის უტოპიურ მტკიცებას, რომ „საკრამენტო“ ამჯერად გაუძლებს ლოსანჯელესელთა მიძალებას.

არც ჩვენ ვეცდებით ამას, მხოლოდ ვთქვათ, რომ შაკილ ონილის გაჩერებას შეეცდება „ლეიკერსში“ ონილის მისვლამდე ამ გუნდის ძირითადი ცენტრი ვლადე დივაცი, ხოლო ონილზე არანაკლებ საშიშ კობი ბრაიანტს ასევე ყოფილი ლეიკერსელი დუგ კრისტი აჰკიდება, მომავალი გვაჩვენებს, რამდენად მძიმე ტვირთად.

„მეფეებს“ თავიანთი კეთილდღეობის აშენება ყოჩაღ თავდამსხმელ კრის ვებერზე სურთ. ვებერი შეეცდება, ყოველ თამაშში ასე 25 ქულა გამოწიოს, ხოლო დაცვაში დივაცს მთამაკის მოთოკვაში წაეშველება. „მეფეთა“ სამწუხაროდ, ტრავმის გამო სერიის პირველ ორ მატჩს გამოტოვებს ჩაუქი იუგოსლაველი მექული პრედრაგ სტოიაკოვიჩი. მას ასევე უცხოტომელი, თურქი ჰიდაიეთ თურქოღლუ ჩაენაცვლება ხუთეულში. „მეფეთა“ შეტევების ორგანიზატორმა მაიკ ბიბიმ თავი გამოიჩინა „დალასთან“ ბრძოლაში და მისი ქულები „საკრამენტოსთვის“ ახლაც მისწრება იქნება.

დაბოლოს, ვთქვათ, რომ ბრძოლის და საერთოდ პლეი ოფის ბედი „საკრამენტო კინგზის“ ნახევარზე გადაწყდება. „მეფეებს“ ძალიან სიმარჯვის გამოჩენა მართებთ საკუთარ ნახევარზე, დაცვაში თამაშისას, თუკი სურთ, თავიანთი „სამეფო“ გვირგვინი ნამდვილი ოქროთი შეამკონ.

**ირაკლი ფირცხალაიშვილი**



ჰიდაიეთ თურქოღლუს „საკრამენტოს“ ხუთეული ელირსა



ლოსანჯელესელი შავი დევი შაკილ ონილი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. რეგიონალლიგა. (ჩრდილოეთი). XXXIV ტური

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | დიუსელდორფი-აუე | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ლიუბეკი | 3,3 | 3,2 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,15 |
| 17.00 | 003 | ფორტუნა-ოსნაბრიუკი | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,3 | 1,1 | 1,4 |
| 17.00 | 004 | ვუპერტალი (მ)-ფულდა | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 17.00 | 005 | კელნ-ლევერკუზენი (მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 17.00 | 006 | ბრაუნშვაიგი-ვატენშაიდი | 1,5 | 3,5 | 5,3 | 1 | 1,15 | 2,1 |
| 17.00 | 007 | ქემნიცი-ურდინგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 008 | ტრიერი-მანჰაიმი | 1,6 | 3,2 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,9 |
| 17.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი (მ)-ერფურტი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 17.30 | 010 | დარმშტადტი-კიკერსი | 1,95 | 2,9 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 17.30 | 011 | ვეჰენი-რეგენსბურგი | 2,0 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 17.30 | 012 | ბურგჰაუზენი-ზიგენი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 17.30 | 013 | ანსბახი-ოფენბახი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 17.30 | 014 | შტუტგარტი (მ)-ელვერსბერგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 17.30 | 015 | ბაიერნი (მ)-ჰოფენჰაიმი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,1 | 1,1 | 1,75 |

იტალია. სერია „ბ". XXXVI ტური

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | ბარი-მესინა | 2,0 | 1,8 | 6,0 | 1 | 1,5 | 1,35 |
| 18.00 | 017 | კალიარი-კოზენცა | 1,8 | 2,0 | 6,0 | 1 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 018 | ჩიტადელა-სიენა | 2,3 | 3,0 | 2,1 | 1,3 | 1 | 1,2 |
| 18.00 | 020 | ემპოლი-ჯენოა | 1,3 | 3,0 | 7,0 | 1 | 1 | 2 |
| 18.00 | 021 | მოდენა-ანკონა | 1,6 | 2,3 | 5,3 | 1 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 022 | ნაპოლი-პისტოიეზე | 1,2 | 3,0 | 5,0 | 1 | 1 | 1,85 |
| 18.00 | 023 | პალერმო-სალერნიტანა | 2,2 | 2,3 | 4,0 | 1,1 | 1,4 | 1,45 |
| 18.00 | 025 | სამპდორია-კომო | 1,55 | 2,5 | 4,4 | 1 | 1,1 | 1,55 |

იტალია. სერია „ც1" ფლეი ოფი. I მატჩები

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 026 | ტრიესტინა-სპეცია | 2,3 | 2,6 | 3,3 | 1,2 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 027 | ტრევიზო-ლუკეზე | 2,1 | 2,6 | 3,8 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 028 | პესკარა-კატანია | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 19.30 | 029 | ლანჩანო-ტარანტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

იტალია. სერია „ც1". ფლეი აუტი. I მატჩები

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 030 | არეცო-კარარეზე | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 031 | ალძანო-რეჯანა | 2,1 | 2,7 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |
| 19.30 | 032 | სორა-დი სანგრო | 2,3 | 2,5 | 3,4 | 1,1 | 1,35 | 1,4 |
| 19.30 | 033 | ნოჩერინა-ბენევენტო | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |

ესპანეთი. II დივიზიონი. XXXXI ტური

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 034 | ფეროლი-ალბასეტე | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 035 | სალამანკა-სპორტინგი | 2,3 | 2,7 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,45 |
| 23.00 | 036 | უელვა-ხერესი | 1,9 | 2,8 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,65 |
| 23.00 | 037 | ლევანტე-ნუმანსია | 2,0 | 2,6 | 3,3 | 1,1 | 1,2 | 1,4 |
| 23.00 | 038 | ეიბარი-კორდობა | 2,0 | 2,5 | 4,4 | 1,1 | 1,35 | 1,55 |
| 23.00 | 039 | ხაენი-ელჩე | 2,0 | 3,0 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,2 |
| 23.00 | 040 | ბურგოსი-მურსია | 2,2 | 2,5 | 2,0 | 1,15 | 1 | 1,1 |
| 23.00 | 041 | რასინგი-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,0 | 1,15 | 1,2 | 1,45 |
| 23.00 | 042 | ექსტრემადურა-პოლი ეხიდო | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 23.00 | 043 | ოვიედო-ხიმნასტიკი | 1,7 | 3,1 | 2,5 | 1 | 1 | 1,35 |
| 23.30 | 044 | ლეგანესი-ბადახოსი | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,15 | 1,3 | 1,45 |

ჰოლანდია. ფლეი ოფი

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 049 | როზენდალი-დენ ბოსხი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 22.30 | 050 | კამბური-ემენი | 2,6 | 3,3 | 2,0 | 1,4 | 1,1 | 1,2 |

ფინეთი. V ტური

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 073 | ჰაკა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 20.30 | 074 | ინტერი-ალიანსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 20.30 | 075 | იარო-ტამპერე | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.30 | 076 | მიუპა-ლაჰტი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

20 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 077 | ჯაზი-კუოპიო | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |

პოლონეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. II მატჩები

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 080 | ვისლა-კატოვიცე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 081 | ლეგია-რადომსკო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |

ამხანაგური მატჩები

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 423 | ნიგერია-იამაიკა(ინგლისში) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 22.00 | 424 | გერმანია-ავსტრია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 23.00 | 425 | პოლონეთი-ესტონეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.15 | 426 | ჩეხეთი-იტალია | 2,6 | 2,9 | 2,5 | 1,35 | 1,25 | 1,3 |
| 23.45 | 427 | საფრანგეთი-ბელგია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 428 | აშშ-ჰოლანდია | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |

20 მაისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11.45 | 429 | ს. არაბეთი-შოტლანდია (ჰონგ კონგი) | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 14.00 | 430 | ჰონგ კონგი-თურქეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,45 | 1,15 | 1 |

კალათბურთი ნბა პლეი-ოფი

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 508 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,65 | 12,0 | 1,75 |

19 მაისი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 509 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

ჰოკეი. ნჰლ პლეი-ოფი

18 მაისი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 516 | დეტროიტი-კოლორადო | 1,7 | 3,8 | 3,3 |


## გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
## თბილისი, ხუდადოვის ქ. №4


## იტალია. სერია B. 2001-02. XXXII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | მ | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.05.02 | 18.00 | 016 | 1:3ანკონა; კოზენცა1:0; 0:2კომო ბარი V მესინა ჩიტადელა3:1; 1:2სამპდორია; პისტოიეზე1:1 | 2,0 | 1,8 | 6,0 | 1 | 1,5 | 1,35 | 2:1 | - | - | - |
| 19.05.02 | 18.00 | 017 | 1:0პისტოიეზე; კომო0:1; 1:0ანკონა კალიარი V კოზენცა ნაპოლი1:1; 0:1ბარი; კროტონე1:0 | 1,8 | 2,0 | 6,0 | 1 | 1,35 | 1,5 | 0:1 | 1:1 3:1 | - | - |
| 19.05.02 | 18.00 | 018 | 1:3მესინა; მოდენა1:3; 1:2ტერნანა ჩიტადელა V სიენა კროტონე2:1; 0:1რეჯინა; ემპოლი1:1 | 2,3 | 3,0 | 2,1 | 1,3 | 1 | 1,2 | 1:0 | 1:1 0:0 | - | - |
| 19.05.02 | 18.00 | 020 | 0:2კომო; ვიჩენცა2:0; 1:1სიენა ემპოლი V ჯენოა მოდენა0:0; 3:4კროტონე; პალერმო1:0 | 1,3 | 3,0 | 7,0 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 0:0 2:1 | 1:3 0:0 | - |
| 19.05.02 | 18.00 | 021 | 0:0ჯენოა; 3:1ჩიტადელა; სამპდორია2:0 მოდენა V ანკონა ბარი3:1; 0:1პისტოიეზე; კალიარი0:1 | 1,6 | 2,3 | 5,3 | 1 | 1,2 | 1,6 | 3:0 | - | - | - |
| 19.05.02 | 18.00 | 022 | 1:1კოზენცა; 1:1პალერმო; რეჯინა1:1 ნაპოლი V პისტოიეზე კალიარი0:1; ანკონა1:0; 1:1მესინა | 1,2 | 3,0 | 5,0 | 1 | 1 | 1,85 | 1:1 | - | 0:0 1:0 | - |
| 19.05.02 | 18.00 | 023 | 1:1ვიჩენცა; ნაპოლი1:1; 0:1ჯენოა პალერმო V სალერნიტანა რეჯინა1:2; ტერნანა0:0; 1:3ვიჩენცა | 2,2 | 2,3 | 4,0 | 1,1 | 1,4 | 1,45 | 1:2 | - | - | - |
| 19.05.02 | 18.00 | 025 | 0:0ტერნანა; მესინა2:1; 0:2მოდენა სამპდორია V კომო ემპოლი2:0; 1:0კალიარი; ბარი2:0 | 1,55 | 2,5 | 4,4 | 1 | 1,1 | 1,55 | 1:3 | - | - | - |
| 19.05.02 | | | 1:2სიენა; ჯენოა4:3; 0:1კოზენცა კროტონე V ტერნანა სამპდორია0:0; 0:0სალერნიტანა; ჩიტადელა2:1 | | | | | | | 2:3 | 0:2 0:0 | - | - |
| 19.05.02 | | | 2:1სალერნიტანა; სიენა1:0; 1:1ნაპოლი რეჯინა V ვიჩენცა პალერმო1:1; 0:2ემპოლი; სალერნიტანა3:1 | | | | | | | 2:1 | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოდენა (ლ) | | 3:0 | 0:1 | 3:1 | 4:1 | 02.06 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 2:0 | : | 3:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 2:2 | 2:0 | 1:0 | 4:2 | 2:0 | 35 | 19 | 11 | 5 | 53:19 | 68 | 11 | 4 | 2 | 32:10 | 37 | 8 | 7 | 3 | 21:9 | 31 |
| 2 | კომო (ლ) | 1:0 | | 2:0 | 1:2 | 0:2 | 1:0 | 1:0 | 3:0 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 2:2 | 26.05 | 1:1 | 35 | 20 | 8 | 7 | 46:29 | 68 | 13 | 2 | 3 | 27:11 | 41 | 7 | 6 | 4 | 19:18 | 27 |
| 3 | ემპოლი ფლორენცია (6) | 0:0 | 0:1 | | 2:1 | 1:0 | 3:1 | 2:0 | 5:3 | : | 5:1 | 5:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 02.06 | 2:1 | 2:2 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 35 | 18 | 10 | 7 | 56:30 | 64 | 12 | 4 | 1 | 35:12 | 40 | 6 | 6 | 6 | 21:18 | 24 |
| 4 | რეჯინა რეჯო კალაბრია (ლ) | 0:1 | 4:1 | 1:0 | | 3:1 | 2:2 | : | 1:1 | 02.06 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 3:2 | 1:0 | 2:0 | 35 | 18 | 10 | 7 | 46:30 | 64 | 11 | 5 | 1 | 24:8 | 38 | 7 | 5 | 6 | 22:22 | 26 |
| 5 | ნაპოლი ნეაპოლი (ლ) | 1:0 | 02.06 | 0:0 | 1:1 | | 1:1 | 0:0 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 4:2 | 2:0 | 1:1 | : | 1:1 | 0:0 | 35 | 15 | 13 | 7 | 43:34 | 58 | 7 | 9 | 1 | 20:12 | 30 | 8 | 4 | 6 | 23:22 | 28 |
| 6 | სალერნიტანა სალერნო (15) | 1:1 | 1:2 | 1:0 | 1:2 | 3:1 | | 0:0 | 2:1 | 0:1 | 26.05 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 3:2 | 0:0 | 35 | 14 | 10 | 11 | 52:50 | 52 | 10 | 4 | 4 | 23:14 | 34 | 4 | 6 | 7 | 29:36 | 18 |
| 7 | ვიჩენცა (ლ) | 0:5 | 1:2 | 1:2 | 1:2 | 2:1 | 3:1 | | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 26.05 | 2:2 | 3:2 | 2:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 4:0 | 35 | 12 | 12 | 11 | 48:47 | 48 | 8 | 6 | 4 | 27:23 | 30 | 4 | 6 | 7 | 21:24 | 18 |
| 8 | პალერმო (ლ) | 2:1 | 0:0 | 1:0 | 4:2 | 1:1 | : | 1:3 | | 1:0 | 0:0 | 02.06 | | 2:0 | 1:0 | 1:1 | 0:2 | 3:0 | 1:0 | 3:1 | 2:0 | 35 | 12 | 11 | 12 | 42:47 | 47 | 10 | 4 | 2 | 23:11 | 34 | 2 | 7 | 10 | 19:36 | 13 |
| 9 | ჯენოა გენუა (12) | 0:0 | 2:1 | 3:3 | 1:1 | 0:2 | 4:0 | 2:2 | 1:0 | | 2:0 | 1:2 | 26.05 | 1:0 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 35 | 10 | 15 | 10 | 38:34 | 45 | 7 | 8 | 3 | 27:19 | 29 | 3 | 7 | 7 | 11:15 | 16 |
| 10 | ბარი (ლ) | 1:2 | 1:1 | 2:2 | 2:1 | 0:1 | 2:2 | 2:1 | 2:0 | 1:0 | | 2:1 | 0:0 | 1:1 | : | 1:0 | 1:0 | 02.06 | 3:3 | 3:2 | 0:2 | 35 | 11 | 11 | 13 | 36:47 | 44 | 8 | 6 | 3 | 24:19 | 30 | 3 | 5 | 10 | 12:28 | 14 |
| 11 | ანკონა (10) | 0:3 | 1:1 | 26.05 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 1:0 | 3:3 | 1:1 | 3:1 | | 0:1 | 3:2 | 1:1 | 2:3 | 0:0 | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 35 | 12 | 7 | 16 | 37:48 | 43 | 8 | 5 | 5 | 25:21 | 29 | 4 | 2 | 11 | 12:27 | 14 |
| 12 | კალიარი (11) | 0:0 | 0:1 | 1:3 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 02.06 | 0:0 4:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | | 0:2 | 0:0 | : | 1:1 | 1:1 | 2:2 | 1:0 | 2:1 | 35 | 9 | 15 | 11 | 32:33 | 42 | 5 | 9 | 4 | 20:17 | 24 | 4 | 6 | 7 | 12:16 | 18 |
| 13 | სამპდორია გენუა (5) | 1:1 | : | 0:2 | 0:0 | 0:2 | 2:1 | 2:1 | 1:2 | 0:0 | 3:0 | 0:3 | 3:3 | | 2:1 | 1:1 | 02.06 | 4:2 | 2:0 | 2:1 | 0:2 | 35 | 10 | 12 | 13 | 39:44 | 42 | 7 | 5 | 5 | 23:22 | 26 | 3 | 7 | 8 | 16:22 | 16 |
| 14 | მესინა (ლ) | 26.05 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 1:3 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 1:2 | 1:1 | 0:2 | 1:1 | | 3:1 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 4:0 | 35 | 9 | 14 | 12 | 36:38 | 41 | 7 | 7 | 4 | 24:17 | 28 | 2 | 7 | 8 | 12:21 | 13 |
| 15 | კოზენცა (8) | 0:1 | 1:4 | 0:3 | 0:1 | 1:1 | 2:3 | 2:1 | 26.05 | 2:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 0:0 | 0:0 | | 2:1 | 2:2 | 1:2 | 2:1 | 1:0 | 35 | 11 | 8 | 16 | 41:52 | 41 | 8 | 4 | 6 | 22:22 | 28 | 3 | 4 | 10 | 19:30 | 13 |
| 16 | სიენა (13) | 0:1 | 0:1 | 1:1 | 2:2 | 26.05 | 2:1 | 2:4 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 0:4 | 1:0 | 2:0 | | 0:3 | 0:0 | 0:1 | 2:1 | 35 | 10 | 10 | 15 | 31:42 | 40 | 5 | 6 | 7 | 15:22 | 21 | 5 | 4 | 8 | 16:20 | 19 |
| 17 | ტერნანა ტერნი (7) | 0:0 | 0:0 | 1:1 | 26.05 | 1:2 | 0:2 | 3:1 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 2:2 | 2:2 | 3:0 | | 0:1 | 2:1 | 3:2 | 35 | 7 | 18 | 10 | 41:45 | 39 | 5 | 9 | 4 | 20:16 | 24 | 2 | 9 | 6 | 21:29 | 15 |
| 18 | პისტოიეზე პისტოია (16) | 0:0 | 0:1 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 0:2 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 0:2 | 2:1 | 0:1 | 0:2 | 3:3 | | 1:0 | 26.05 | 35 | 7 | 12 | 16 | 32:45 | 33 | 4 | 4 | 10 | 12:21 | 16 | 3 | 8 | 6 | 20:24 | 17 |
| 19 | ჩიტადელა პადოვა (14) | 1:3 | 2:1 | 2:1 | 0:2 | 1:2 | 4:4 | 2:2 | 2:2 | 0:0 | 0:1 | 3:1 | 0:2 | 1:1 | 0:1 | 2:0 | : | 2:2 | 02.06 | | 3:2 | 35 | 8 | 9 | 18 | 43:57 | 33 | 5 | 6 | 6 | 25:27 | 21 | 3 | 3 | 12 | 18:30 | 12 |
| 20 | კროტონე (9) | 1:2 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 3:3 | 3:4 | 1:1 | 4:3 | 2:2 | 2:0 | 4:2 | 1:1 | 02.06 | 0:2 | 1:2 | : | 1:2 | 1:2 | | 35 | 5 | 10 | 20 | 40:61 | 25 | 3 | 6 | 8 | 28:32 | 15 | 2 | 4 | 12 | 12:29 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

**სპორტული ლატარეა**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| **ხელვაჩაური** | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| **ფოთი** | რკალი, რუსთაველის №18 | |
| **საგარეჯო** | დავით ალმაშენებლის №30 | |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 | |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 | |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| **ახმეტა** | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |

## ფინეთი. უმაღლესი ლიგა. 2001-02. V ტური

| თარიღი დრო № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | შ. | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.05.02 20.30 073 | 1:0 ჰამენლინა; ლაჰტი0:1; 1:2 კუოპიო **ჰაკა V ვაასა** ინტერი2:2; 0:2 ჯაზი; მიუპა1:1 | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 | - | 1:0 0:2 1:1 | 0:1 3:2 1:0 | 1:0 2:0 |
| 19.05.02 20.30 074 | 2:2 ვაასა; ტამპერე0:1; 0:0 ჰამენლინა **ინტერი V ალიანსი** მიუპა2:3; კუოპიო4:2; 0:0 ტამპერე | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 | - | - | - | - |
| 19.05.02 20.30 075 | 2:2 კუოპიო; ჰამენლინა1:1; 0:0 ლაჰტი **იარო V ტამპერე** ჯაზი0:0; 1:0 ინტერი; ალიანსი0:0 | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 | - | - | - | - |
| 19.05.02 20.30 076 | 3:2 ალიანსი; ჰიკ3:0; 1:1 ვაასა **მიუპა V ლაჰტი** ჰიკ0:1; 1:0 ჰაკა; იარო0:0 | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 | - | 1:0 0:0 2:2 | 1:0 0:0 1:0 | 4:0 2:1 |
| 20.05.02 20.30 077 | 0:0 ტამპერე; ვაასა2:0; 0:1 ჰიკ **ჯაზი V კუოპიო** იარო2:2; 2:4 ალიანსი; ჰაკა2:1 | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 | - | 0:1 0:4 2:2 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილიკოსკენ პალო 47 ანიალანკოსკი (3) | | 3:0 | | | | | 26.05 | | 2:0 | : | | | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| 2 | ჰიკ ჰელსინკი (2) | | | | 27.05 | | | | 1:0 | | | | 4:1 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| 3 | (ლ) | 2:3 | | | | | | | | 4:2 | 30.05 | | 2:1 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 4 | იარო პიეტარსაარი (ლ) | | | | | : | 30.05 | | | | | | 1:1 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| 5 | ტამპერე იუნაიტედი ტამპერე (1) | | 30.05 | 0:0 | | | | | 0:0 | | | | | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 6 | ჰაკა ვალკეაკოსკი (4) | | 2:1 | | | | | | 26.05 | | 0:1 | : | | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 7 | ინტერი ტურკუ (5) | | | : | | 0:1 | | | | | 3:0 | | | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| 8 | ჯაზი პორი (10) | | | | 0:1 | | | 30.05 | | : | | 2:0 | | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 4 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| 9 | კუოპიო პალოსეურა (8) | | | | 2:2 | | 2:1 | | | | | 30.05 | | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| 10 | ლაჰტი (9) | | 0:1 | | 0:0 | | | | | 26.05 | | | | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 4 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| 11 | ვაასა ვპს ვაასან პალოსეურა ვაასა (6) | 1:1 | | 26.05 | | 1:1 | | 2:2 | | | | | | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 12 | (ლ) | 30.05 | | | | 27.05 | 0:1 | 0:0 | | | | | | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

# ქუდი გვერდზე არ ახურავს, მაინც ამპარტავანს ჰგავსო
## ბუტე, ბუტე, არ გაგებუტე



REUTERS ჰამბურგიდან

უჯიშო ანუ უქუდო ლეიტონ ჰიუიტი

**მასტერსის სერია**
ჰამბურგი. თიხნარი
საპრიზო 2,828 მილიონი $

**მესამე წრე**
**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) 6:4, 6:3; **გუსტავო კუერტენი** (2, ბრაზილია) — გილერმო კანასი (15, არგენტინა) 7:5, 6:2; **მარატ საფინი** (6, რუსეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (8:6), 7:5; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ტომი ჰაასი (7, გერმანია) 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი** (11, შვეიცარია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 7:5, 6:4; **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) — ენდი როდიკი (13, აშშ) 6:3, 7:5; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 2:6, 6:4

მსოფლიოს სეფემეროგნე კაც ლეიტონ ჰიუიტს აქამდე უქუდოდ ვერსად ნახავდით. თავგადაპარსული იყო თუ წყრთიანი „ცხენის კუდი" ება, უკუღმა შებრუნებული კეპი ნიადაგ თავზე ედო და უმისოდ ჩიგანსაც არ გააქნევდა.

ამიტომაც იყო, ჰამბურგულ „როთენბაუმ" კორტზე ქუდის გარეშე გასული ქომაგმა რომ იუცხოვა — ეს ბიჭი საიდან მოიყვანესო?

რაღა ბევრი შევაშესავლოთ, სულ მთლად უარაფროდ თამაში ლეიტონმა მაინც ვერ აიტანა და, იმის მომიზეზებით, რომ თვალებში ოფლი ჩასდიოდა, თავზე ოფლსაშრობი წაიკრა.

თუმცა ამით მის თამაშს არაფერი დასტყობია — რა ბარაქიანიც მანამდე იყო, მას მერეც ისეთივე დარჩა.

და უფრო მეტიც: ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მეორე კაცი გახდა, ვინაც რეიტინგსიაში პირველობისას ზედიზედ რვა სათიხნარე ტურნირის მეოთხედფინალში გაღწევა შეძლო. ჰიუიტამდე ეს ანდრე აგასის — 2002-ს 7 გამოვაკლოთ და — 1995 წელს გაკეთებინა.

ეს რეკორდი ჰიუიტს ზორბა ჩეხთან, ირჟი ნოვაკთან (14) ჭიდილში დანებდა. მატჩი თითქოს მძაფრი არ იყო, მაგრამ რამდენსამე მომენტში მაინც ისე შეჩქვიფდა, რომ მეკოშკე მსაჯს ერთიორჯერ ოზის მამალი გინების მოსმენაც მოუხდა. ერთხელ კი ჰიუიტმა სულაც ტურნირის მთავარმსაჯის გამოძახება მოითხოვა — მაგრამ მის დაჟინებულ ყაშყაშს ყური არ ათხოვეს და მანაც კვლავ გეგმაზომიერად განაგრძო ნოვაკის რბევა.

იმ მომენტში ფაიზალი მართალი ვიყავიო, აი, ეგრე ქალაქურად იძახდა ნამატჩევს, მაგრამ მსაჯი თუ ვირზე შეჯდა, რა ჩამოიყვანსო. ჩემი თამაშით კი კმაყოფილი ვარ, კვირის მსვლელობისას ყველაფერი უფრო და უფრო კარგად გამომდის, უკეთესად ვაწვდი, უკეთესად ვილებ და საერთოდაც, მგონი, უკვე ისე ვთამაშობ, როგორც მინდა რომ ვთამაშობდეო, ბოლოს ასეც დაამატა.

ხოლო სანამ მის უმთავრეს რაყიფთა შეხვედრებზე გადავიდოდეთ, აქვე ბარემ ერთ რამესაც დავძენთ აქამდე მოგებული 4 ტიტულიდან ჰიუიტს საკუთრივ სათიხნარე მხოლოდ ერთი მოეძევება. მის საამბამბურგო შანსებზე კი ისტორია გადაჭრით ვერაფერს ამბობს — 1980 წლიდან პირველ ნომრად განთესილ ხალხს აქ მხოლოდ სამჯერ უმარჯვია. 1987 და 1989 წლებში იქაური კორტები ივან ლენდლმა აიკლო, 1992-ში კი - შტეფან ედბერგმა.

ჯადო-მეთიხნარე გუსტავო კუერტენს ჰამბურგში ორჯერ გამარჯვებია და ახლაც ისე ბურთაობს, როგორც მის რანგსა და სიჩაუქეს ეკადრება. ამჯერად მან მე-15 ნომრად განთესილ არგენტინელ გილერმო კანასს აჯობა და ამ საქმეს მხოლოდ 85 წუთი მოანდომა. ნამატჩევს იგიც თანდათან გაუმჯობესებად თამაშზე საუბრობდა და მერე გამორჩეული სიხარულით აღნიშნავდა იმას, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში თავის პირველ მეოთხედფინალში გავიდა.

სხვაფრივ — როგორც იქნა, მჭევრი შვეიცარიელის, როჯერ ფედერერის საქებ სამასტერსო გარჯასაც მოვესწარით. დღემდე მას მასტერსმეოთხედფინალში მხოლოდ შარშან, მონტე კარლოში ეპაექრა, წლეულს კი იქვე მეორე წრიდანვე დაითხოვეს, ხოლო რომში სულაც პირველ წრეში დაიჩოგნა. ბოლო რვეულში მოსახვედრად ფედერერს რუმინელი ვოინეას, ტურნირიდან ტიმ ჰენმანის გამპანღურებლის ძლევა დასჭირდა.

ხოლო რაღაი სიტყვამ გაპანღურება მოიტანა, ყველაზე მაგარი წიხლები იმ დღეს ორ კაცს, ადგილობრივთა მთავარფალავან ტომი ჰაასსა და ამერიკელთა ყრმაჯილა ენდი როდიკს მოხვდათ. პირველი სეხნია რობრედომ აოტა, თანაც ისე, რომ გერმანელს თავის გადარჩენის ერთი შანსიც არ მისცა, მეორემ კი, არავინ რომ არ ელოდა, ძირითად ამქარში კვალიფიკაციების შედეგად შესულ ფრანგთან, ჟულიენ ბუტესთან დათმო. ბუტემ ფრიად უჩვეულოდ ითამაშა, მეტოქეს მიწყივ ბადესთან ელოდა და სანამ როდიკი მის საწინააღმდეგო გეგმას შეიმუშავებდა, ეგ უკვე საშხაპეში იდგა და პირში ჩასულ საპნიან წყალს აპურჭყებდა.

ეგეთი ხათქა-ხუთქი მე არ მინახავს, ყველა ბურთს გამწარებული ურტყამდაო, იოცებდა ამერიკელი, მე კი რა, მართალია, წავაგე, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, საროლანგაროსედ კაი მოთელვა გამომივიდაო.

სულ ბოლოს კი არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ჰამბურგში საუცხოოდ ჩოგნაობს ბელარუსი მაქს მირნი, ვისაც ჭაბუკი ეძახეთ და, ისეთი ოყრაყია, რომ პიტ სამპრასი და კარლოს მოია მოინელა, მარიანო საბალეტას როგორ ვერ მოინელებდა? მით უფრო, რომ წალმართი პირველი ჩაწოდება აქვს და, ლუკაშენკო იქით იყოს, მაგარი ჯიგრიანი ვინმე ჩანს.

**იტალიის ღია პირველობა**
რომი. თიხნარი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:0, 6:0; **კიმ კლაისტერსი** (3, ბელგია) — ტატიანა პანოვა (16, რუსეთი) 6:3, 6:7 (6:8), 6:1; **სერენა უილიამსი** (4, აშშ) — დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **ჟუსტინ ენენი** (5, ბელგია) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:4; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — ელენა დოკიჩი (6, იუგოსლავია) 5:7, 6:4, 6:3; **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:0, 6:2; **სანდრინ ტესტუ** (8, საფრანგეთი) — სილვია ფარინა ელია (9, იტალია) 3:6, 6:2, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:3, 6:2

ვერ გამოდგა ელენა დოკიჩი იმ ფურად, ვინუს უილიამსზე მეტს რომ იწველება — შხამად შეერგო უფროსი შავის განქიქება და დამუნათება. გადმოილო 20 წლის წოწოლა რუსმა ანასტასია მისკინამ რომის ბარაქიანი შარშანდელი ჩემპიონი და იმდენი ურტყა აულებლები, რუსის დიპლომატის რომ არ მოხვედრია! არადა, იქით კვირაში, ბერლინურ თიხნარზე შეყრისას, იუგოგომ სლავი მეტოქე მეორე წრიდანვე დაიფრინა.

ვერაფერს იტყვი, გულდასაწყვეტია — ჩოგბურთი ჩოგბურთად და, დოკიჩის რომაული ფოტოების ხილვა ხომ თავისთავად ერთ რამედ ღირდა...

თუმცა, რაც მოხდა, მოხდა. თავი იმით ვიიმედოთ, რომ მთავარი მოსახდენი ჯერ კიდევ წინაა და ჩვენც კიდევ დიდხანს ვერ მოვიხდით იმ სენს, რასაც იტალიის ღია პირველობის დარჩენილი ეტაპები შეგვყრის.

ხოლო მანამდე მერვედფინალებისა იყოს.

პირველი სადღეგრძელო აქ კვლავაც ჯენიფერ კაპრიატის ეკუთვნის. ყველას რომ ეგონა, არიქა, მარი პირსი ბრუნდებაო, ჯანიანმა ამერიკელმა დაიჭირა და ისე დაუნდობლად უგლაჯუნა, პირსის წილ კორტზე ჭია-ღუები ვერ ჩერდებოდნენ. სხვა თუ არაფერი, პირველი სეტი სულ რაღაც 12 (!) წუთში მოუგო. გადარეული ჯენის შემხედვარეს, ფრანგს ისედაც როყიოდ დაკავებული ჩოგანი კიდევ უფრო აუყანყალდა და იმდენი უნებლიე შეცდომა დაუშვა, კაპრიატის ვინძლო ეუხერხულა კიდეც.

ეგებ ვინმეს გახსოვთ და, ისინი უკანასკნელად ერთმანეთს 1993-ში ეთამაშნენ — მაშინ ორივე 18 წლის ქორფა გოგო იყო. ახლა კი ისინი დრანცულა ქალები და როლან გაროსის ბოლო ორი წლის ჩემპიონები გახლავან: პირსმა იქ შარშანწინ იმარჯვა, ჯენიმ, შესაბამისად, შარშან.

ხოლო ჯენიზე რომ ყველაფერი მოვამთავროთ, ბარემ ესეც დავძინოთ — რომაულ მეოთხედფინალში ის 1990, 1991 და 1993 წლებში გასულა, 1997-2001 წლებში კი იქაურ მეორე წრეს ერთხელაც ვერ გასცდა.



REUTERS რომიდან

უდო სერენა უილიამსს მეოთხედფინალამდე არა გასჭირვებია

ბობოლა განთესილებმა სხვა შეხვედრებშიც უყოყმანოდ გაილაღეს. განსაკუთრებით იბულრავა სერენა უილიამსმა, ვის აუტანელ ჯან-ღონესა და მშუშხავ ნაშოლტარებს ამჯერად დენიზა ჰლადკოვა შეეწირა. ახლა ძალიან კარგად ვარ — დღესაც კარგად ვითამაშე, გუშინაც და საერთოდაც, მაგრად გლიჯავს, მეოთხედფინალში რომ გავედიო, ტარტალებდა მერე სერენა.

მასთან არიან შარშანდელი ფინალისტი ამელი მორესმო (7) და წინა კვირას ბერლინში გამარჯვებული ჟუსტინ ენენი (5).

ამათთან შედარებით ოდნავ გაუჭირდათ კიმ კლაისტერსსა (3) და სანდრინ ტესტუს (8) — თავიანთი მეტოქეების გასატეხად ორივეს სამ-სამ სეტიანი ბულრაობა მოუხდა. ბომბორა კიმს მეორე სეტში 5:5-ზე მოგებას ორი ქულაღა აშორებდა, მაგრამ, მეგობარი ბიჭისა არ იყოს, ეგეც მსაჯს გაედავა და ისე აღელდა, რომ რუს პანოვას საქმე გადამწყვეტ სეტში გადააყვანინა. იქ კი აზრზე მოვიდა და მერე პანოვაც მოიყვანა.

და სანდრინ ტესტუს (4) რომ გასჭირვებოდა, რა გასაკვირია — მას ხომ წილისყრამ უკანასკნელი იტალიელი ქალის და ისიც მეცხრე ნომრად განთესილი სილვია ფარინა ელიას გაგდება დაავალა. უნდა ითქვას, რომ ეს დავალება ფრანგმა ჯამში კაცურად შეასრულა.

სულ ბოლოს კი იმის შესახებ, თუ როგორ არ შეძლა ანა კურნიკოვას „ხელმეორე დაბადება", რაზეც, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ამ ბოლო დღეებში ასე დასტურ ყაყანებდნენ. ჯერ ისეთ დაბადებას რა ვუთხარით, ვინუს უილიამსის დაჭიმულ მაჯაზე რომ გადის, მერე კიდევ — სანამ სექსანა დიდ ჩოგბურთს დაუბრუნდება, მანამ ჯუდით სოლტეშ-ბენეტონი ჩოგბურთის თამაშს ისწავლის! ხოლო ვინმეს თუ არ სჯერა და, ფილიპა სტიუარტს დაეკითხოს — ეგ ის ქალია, ესპანელ რუანო პასკუალთან შეხვედრაში ანას ატკიებულ ქვედა კიდურებსა რომ პზელავდა.

სხვაფრივ კი — აუფ ვიდერ ზეენ და არივედერჩი, ანუ, კეთილად ბრძანდებოდეთ!

**ლევან ძილაურაძე**



REUTERS ჰამბურგიდან

ჟულიენ ბუტემ ენდი როდიკი და მაყურებლები ერთნაირად გაცვირვა



REUTERS რომიდან

ჯენიფერ კაპრიატი კორტსმიღმა ინტერიერში

# ძიუდო

**ევროპის ჩემპიონატი მარიბორი (სლოვენია)**

# ქევხიშვილის ხმამაღალი დებიუტი

**სლოვენიის** ქალაქ მარიბორში, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ქართველებმა უმდლო „შიმშილობა" შეწყვიტეს. ტურნირის პირველ დღეს ივერი ჯიქურაულის (აბსოლიტური) და გიორგი რევაზიშვილის (66კგ) პრიზიორებში ვერმოხვედრით დალონებულ ჩვენებურებს ხასიათი დავით ქევხიშვილმა (73კგ) გამოუკეთა. მანამდე უცნობმა ყვარლელმა წლევანდელ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე აალაპარაკა სპეციალისტები და თავი არც ევროპის ჩემპიონატზე შერცხვინა. დებიუტანტ ქევხიშვილს ოქროს მედლამდე ნაბიჯიღა დააკლდა. ჯგუფში გაპირველებულს ნახევარფინალში უკრაინელი გენადი ბილოდიდის დამარცხების მერე ფინალში გაბულგარელებული რუსი ანატოლი ლარიუკოვი დახვდა. სხვათა შორის, ხუთი წლის წინ, როცა ლარიუკოვი რუსეთის სახელით ჭიდაობდა, მაშინდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალი გიორგი ვაზაგაშვილთან წააგო. ამჯერად ოქრო ლარიუკოვს ერგო, ხოლო ვერცხლი ქართველს დარჩა.

მანამდე ქართულ ყულაბაში ორი ბრინჯაო ჩაჩხრიალდა. ნესტორ ხერგიანს (60კგ) ფინალისკენ მიმავალი გზა აზერბაიჯანელმა ელჩინ ისმაილოვმა რომ გადაულობა, მესტიელმა სანუგეშო ტურნირში გადაინაცვლა და ბელგიელი სედრიკ ტაიმანსის ძლევით ბრინჯაო მოიპოვა. მესამე ადგილი დაიკავა ახმეტელმა ზურაბ ზვიადაურმაც (90კგ). ზვიადაურმა ნახევარფინალამდე სულ მწვანაზე იარა, იქ კი უკრაინელ ვალენტინ გრეკოვთან მოეცარა ხელი და რეპეშაჟში ბრიტანელ უინსტონ გორდონს აართვა ბრინჯაო.

გუშინ მოჭიდავე ქართველთაგან მეოთხემ, ბორის თადუმაძემ (81კგ) ტურნირი უშედეგოდ დაასრულა. ჯგუფიდან ვერგასულმა სანუგეშო შეჯიბრში იუგოსლაველ ანდრია ჯურიშიჩთან წააგო.

**ბაჩო სვანიძე**

# სამბო

# იტალიაში სახლში ვიყავით

## სკრა, აგარა, ქარელი, გორი... ზედაც ტურინი

**ქართველმა** სამბისტებმა იტალიურ ტურინში, ევროპის ჩემპიონატზე მართლაც რიგიანად იჭიდავეს და სამ ასაკობრივ ჯგუფში სამივე სინჯის 20 მედალი მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში ჭაბუკთა ნაკრებმა მეორე, ახალგაზრდებმა მესამე და უფროსებმაც მეორე ადგილი დაიკავეს.

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში ნაევროპალმა მოჭიდავეებმა ჟურნალისტებს გვიამბეს. ჩვენს კითხვებს სამბისტთა მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე პასუხობდა, მანამდე კი მან მცირე შესავალი გააკეთა და იტალიური შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

–ჩვენ ქალაქგარეთ ვცხოვრობდით და თავი შინაურ გარემოში გვეგონა, ირგვლივ სულ მთები და პატარ-პატარა ფერმები იყო. ჩვენი ბიჭებიც ძირითადად რაიონებიდან და სოფლებიდან არიან და უცხო გარემოში თავი შინაურულად იგრძნეს. სასტუმროს შორიახლოსაც ღვთისმშობლის ხატი ესვენა და სალოცავად იქ მივდიოდით...

–მონაწილე ქვეყნების რაოდენობით ეს ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპის ჩემპიონატი იყო. იტალიაში 19 ნაკრები ჩამოვიდა, აქამდე სარეკორდო 14 იყო. სულ კი 254 ფალავანმა იჭიდავა...

–ტურნირი ცუდად იყო ორგანიზებული. ეს საერთაშორისო ფედერაციის თავკაცებმაც აღნიშნეს. არ მუშაობდა ტაბლო, დროის ათვლა ხელის წამზომით ხდებოდა. არ იყო მიკროფონები, ვერ მოიძებნა ელექტროსასწორი. ჩვენში რომ იციან, ქანგიან სასწორზე წონიდნენ მოჭიდავეებს.

–საერთო ჯამში ჩემი შეგირდებით კმაყოფილი ვარ, თუმც მათ მეტის გაკეთება შეეძლოთ, განსაკუთრებით ჭაბუკებს და ახალგაზრდებს. სამ-ოთხი ფინალი ფრედ დასრულდა, მაგრამ მსაჯებმა უპირატესობა მეტოქეს მიანიჭეს. მსაჯობაზე არ მინდა ლაპარაკი, რაც ჩვენებს დაემართათ, მხოლოდ მათივე არაორგანიზებულობით. გული დამწყდა, ჭაბუკ დურმიშხან ბერუაშვილს ჩემპიონობა შეეძლო, მაგრამ ნახევარფინალში სათანადოდ ვერ განეწყო. არც დავით ალმაშენებლის ხსენებამ გაჭრა და არც გიორგი სააკაძისა. ახალგაზრდა უშანგი უზანაშვილიც საჩემპიონო იყო, მაგრამ... უფროსებში ოქროს მედალს არ ვეგმავდი. მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად რომ გაგვევლო, სხვა საქმეა, მაგრამ მოუმზადებელ ბიჭებს მეტს ვერ მოვთხოვ.

–სამბო არაოლიმპიური სახეობა კია, მაგრამ ცოტა მეტი ყურადღება გვჭირდება. რაც სხვა სტილის მოჭიდავეებისთვის კეთდება, იმის ნახევარზეც ყაბულს ვარ. ნუ დავივიწყებთ, რომ ნესტორ ხერგიანი და ბორის თადუმაძე სამბოდან გადავიდნენ ძიუდოში და მედლებსაც იგებენ. სამბისტი არჩილ ჩოხელი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია. ასეთი ბევრი გვყავს?! ჩოხელს კი ერთ ლარსაც არ უხდიან ხელფასს. მომავალში სამბო შეიძლება, ოლიმპიური სახეობა გახდეს და საამისოდ მზადება და ზრუნვა დღეიდანვე უნდა დავიწყოთ...

...23-24 ივნისს ყაზახეთის ქალაქ ურალსკში მსოფლიოს თასი გაიმართება. ეს პრესტიჟული ტურნირია. დაბინავების და კვების ხარჯებს მთლიანად ორგანიზატორები კისრულობენ. მარტო მგზავრობის ფული გვჭირდება. ცხრა ფალავნით ვაპირებთ მონაწილეობას და დაახლოებით 8 ათასამდე ლარი დაგვჭირდება. აქედანვე ვაპირებ ქართველი ბიზნესმენების შეწუხებას, იქნებ ვინმემ დაგვაფინანსოს და გპირდებით, საპრიზო ადგილს არ გავცდებით.

**ბაჩო სვანიძე**

**ქართველ სამბისტთა მონაგარი**

**უფროსები**

**ვერცხლი**

გიორგი შუბითიძე (90 კგ, რუსთავი)

**ბრინჯაო**

აკაკი ხანიშვილი (57 კგ, გორი); არჩილ ჩოხელი (74 კგ, მცხეთა); გიორგი გამზიტაშვილი (62 კგ, საგარეჯო); ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82 კგ, გორი); რატი ფურაძე (მძიმე, ზესტაფონი)

**ახალგაზრდები**

**ოქრო**

ავთანდილ ცინცაძე (75 კგ, თბილისი); პაატა ნასრაძე (მძიმე, ზესტაფონი)

**ვერცხლი**

ნუკრი ბერაია (62 კგ, ფოთი); ლევან ტატიშვილი (90 კგ, თბილისი); იმედა გორგოძე (100 კგ, ზესტაფონი)

**ბრინჯაო**

ვალერი დადიბერია (62 კგ, ფოთი); სოსო მეზვრიშვილი (68 კგ, თელავი); მერაბ ფანცულაია (74 კგ, ფოთი)

**ჭაბუკები**

**ოქრო**

მალხაზ ავეტიკოვი (75 კგ, თელავი); ლევან ჩიკოიძე (81 კგ, თბილისი)

**ვერცხლი**

უშანგი უზანაშვილი (52 კგ, საგარეჯო); ნიკო აბულაშვილი (87 კგ, თბილისი); დურმიშხან ბერუაშვილი (მძიმე, რუსთავი)

**ბრინჯაო**

გიორგი კაკოიშვილი (75 კგ, ზესტაფონი)

# ჰოკეი

**NHL სტენლის თასი ნახევარფინალი**



კერტის ჯოზეფმა ტორონტოელთა კარი საიმედოდ დაიცვა ერიკ კოულისა და სხვა კაროლინელთა მიძალებისგან

# ახალგაზრდა მოკრივე იქნევდა, ბებერი სცემდა

16 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| კაროლინა | 0 |
| ტორონტო | 1 |

**კაროლინა 1:2 ტორონტო 1:1 0:1 0:0**

**1:0 ონილი (4), 1:1 მოგილნი (8), 1:2 პოგლუნდი (33)**

რა აძლებინებს ტორონტოს ამდენს?! სად პოულობს გუნდი იმ ძალას, რომლითაც იგებს? აი, თურმე რა შეუძლია ჟინსა და ემოციებს. მატჩის წინ გაირკვა, რომ ტორონტოს კიდევ ერთი მოთამაშე, თანაც თავად ტაი დომი გამოაკლდა. კანადური კლუბის ცნობილმა მოჩხუბარმა ფეხი დაიზიანა, თუმც ტორონტოს ფათერაკები ამით როდი დასრულდა. პირველივე პერიოდში პოლ პილის ფეხში შაიბა მოხვდა და მანაც დატოვა მოედანი. იგი არც ისე მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ გუნდი ახლა ისეთ დღეშია, ყოველგვარი დანაკლისი თავშისაცემი. ამჟამად ტორონტოს 9(!) მოთამაშე ჰყავს დაშავებული. მათი ადგილი ფარმკლუბელებმა დაიკავეს. ამიტომაც მოულოდნელად კაროლინა ფავორიტად შეირაცხა, მაგრამ... ტორონტომ მოიგო.

ეს თამაში ძალიან წააგავდა მოკრივეთა ორთაბრძოლას. ერთი, გამოუცდელი ახალბედა (კაროლინა) ცდილობდა, რაც შეიძლება ხშირად დაერტყა, მაგრამ მიზანს აცდენდა, მეორე კი, მრავალნაცადი, მაგრამ ტრავმებით გატანჯული (ტორონტო) მოთმინებით ელოდა თავის შანსს და იშვიათი, მაგრამ ერთობ ეფექტური ჰუკებით აღწევდა უპირატესობას.

რაკი კაროლინა ბევრს უტევდა, ისედაც გადაღლილი ტორონტოელები ხშირად არღვევდნენ წესებს და რიცხობრივი უპირატესობაც მასპინძლებისა იყო, თუმც მათ იერიშებს შემოქმედებითი სული აკლდა. აკი ერთადერთი გოლიც რიკოშეტით გაიტანეს. ტორონტომ კი ძალიან ეფექტურად გამოიყენა შანსები, თან გაუმართლა კიდეც, საპასუხო უმალვე გაიტანა. ათამაშებულმა ალექსანდრ მოგილნიმ დარტყმაც მოასწრო და დამატებაც. მეორე პერიოდში კი ტორონტომ რიცხვმრავლობა გამოიყენა. იონას პოგლუნდმა შორიდან დარტყმულ შაიბას ოსტატურად შეუცვალა მიმართულება.

დარჩენილ დროში სურათი არ შეცვლილა. კაროლინა ხშირად უტევდა, მაგრამ ტორონტომ და მისმა ბრწყინვალე მეკარე კერტის ჯოზეფმა გათანაბრება არ დაანებეს.

„ზოგჯერ ასეც ხდება, მიუხედავად დაღლილობისა, თამაშს აწყობ და ფიზიკურად უფრო ძლიერი მეტოქის ზეწოლასაც როგორღაც უძლებ" — მოკლე გახლდათ გუნდის დარად გადაქანცულ მწვრთნელ პეტ ქუინის კომენტარი.

**სამველ ღარიბიანი**

# კრივი

# ლუისი ტაისონს ნოკაუტში ჩააგდებს და წავა

**ახლოვდება** მძიმე წონის მოკრივეთა დიდი შერკინება: ბრიტი ჩემპიონი ლენოქს ლუისი და მაიკ ტაისონი მემფისის „პირამიდ არენაზე" უნდა შეხვდნენ ერთმანეთს 8 ივნისს.

ამ სამყაროს ისტორიაში უძვირესი ბრძოლით ბევრი რამ გაირკვევა. მაგალითად ის, რომ თუ ლუისი ნოკაუტში ჩააგდებს ტაისონს, ხელთათმანებს გაიძრობს და კრივს გამოეთხოვება.

ამის შესახებ უამბო ტორონტოში შეკრებილ კრივზე მწერლებს ლუისის მწვრთნელმა, განთქმულმა ემანუელ სტიუარტმა სატელევიზიო პრესკონფერენციაზე, სავარჯიშო ბანაკ პოკონოსიდან. „მაიკი ისე ცხოვრობს, რომ ორმოც წლამდე ვერ მიატანს" — თქვა სტიუარტმა, რომელმაც, სხვათა შორის, ტაისონზე უფრო მეტი ილაპარაკა, ვიდრე თავის შეგირდზე — ის არაფერზე ზრუნავს და არაფერს უფრთხილდება. ეს ძალიან სამწუხაროა. ცხოვრებას კანონები აქვს".

იანვარში, ნიუ იორკის ჰადსონის თეატრში პრესკონფერენციის დროს ატეხილი ჩხუბის გამო ორთაბრძოლა ჩაშლის პირას მივიდა. მაშინ ბევრმა თქვა, ტაისონმა განგებ ატეხა ჩხუბი, რათა კრივი ჩაეშალა და ეს ლუისსაც ხელს აძლევდაო.

„ეს სასაცილოა. ლენოქსს ამაზე ეცინება. ჩვენ ვიცით, რომ ტაისონი ის აღარ არის — განაცხადა სტიუარტმა — ლენოქსს არ ეშინია მაიკის. მაიკი კი ვერ დაიკვეხნის, რომ არ უფრთხის ლენოქსს. მაიკს მძიმე დრო უდგას, ის მთელ სამყაროს ებრძვის. მან ბევრი ფული იშოვა, მაგრამ ცხოვრებისა ბევრი ვერაფერი გაიგო. ფულს კი მხოლოდ იმიტომ უხდიან, რომ ცხოვრებაში ბევრი ვერაფერი ისწავლა".

სტიუარტმა ლუისის მიზანიც გაამხილა:

„მე დღემდე ვრჩები მაიკ ტაისონის გულშემატკივრად. მისნაირი აქტიური კაცი რინგზე დღემდე არ მინახავს, მაგრამ ჩვენს ბანაკში ყველაფერი წესრიგშია. ლენოქსს სურს, განსაკუთრებული ნოკაუტით დაამარცხოს ტაისონი და ისე წავიდეს კრივიდან. როცა მიდიხარ, შენი ორი-სამი ბრძოლა თუ ახსოვთ. აი, ასეთი ბრძოლისთვის ვემზადებით, ლენოქსს წასვლა უნდა, მაგრამ, ჩემი აზრით, მან ერთი ბრძოლაც უნდა ჩაატაროს, მესამე, სასამართლოთი ართმეული ქამარი უნდა დაიბრუნოს და ისე წავიდეს. მას დასამტკიცებელი აღარაფერი ექნება."

მართლაც, ლენოქს ლუისი არის იუნიორთა ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და ორჯერ წაუგია ცხოვრებაში, ორივეჯერ ნოკაუტით. თუმცა, ორივე დამმარცხებელი ნოკაუტითვე დასცა ძირს რემატჩებში.

— როგორც ხედავთ, საჩხუბარი აღარაფერი დარჩა — აღნიშნა სტიუარტმა

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**






მაიკ ტაისონს ლენოქს ლუისმა და მისმა მწვრთნელმა ემანუელ სტიუარტმა ნოკაუტი გამოუწერეს



REUTERS

# ურჩხული და მზეთუნახავი

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, 23 კაცში ვერმოხვედრილი კრისტიან კარემბუ კი კანის კინოფესტივალზე ატარებს დროს. რაც გინდა თქვი და, ცოლი კი მზეთუნახავი ჰყავს — ჩეხი მოდელი ადრიანა სკლენარიკოვა.



REUTERS

# ნამდვილი გამოცდის წინ

ჩინეთის ქალაქ შენიანში გუშინ დიდი ხმაური იყო. ამ ქალაქის სტადიონი უკვე იქცა ჩინელთათვის საკულტო ადგილად, რადგან სწორედ აქ მართავდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისშინაო მატჩებს ეროვნული ნაკრები, რომელიც ისტორიაში პირველად გავიდა ფინალურ ეტაპზე. სტადიონზე ამ ამბის უკვდავსაყოფი ძეგლი გუშინწინ დაიდგა, გუშინ კი ძაღლოსანი პოლიციის დაცვით და კომუნისტური ქვეყნისთვის არცთუ ნაჩვევი ჩირლიდერი გოგოებით დამშვენებულ სტადიონზე ჩინელები ურუგვაის ნაკრებს შეხვდნენ ამხანაგურ მატჩში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამხანაგურობის პირობაშეც გაუჭირდათ და 0:2 წააგეს. ეგ არაფერია, დაამშვიდა ლამის ორმილიარდიანი ქვეყანა ნაკრების მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა, ნამდვილი გამოცდები წინ არისო.



REUTERS




REUTERS

# არ იშლის და...

ძველი ჩიკაგოელი ბროკერი და მილიონერი სტივ ფოსეტი თავისას არ იშლის. 58 წლის კაცი დაუცხრომლად ცდილობს, რომ თავისი საჰაერო ბურთით, რომელსაც „თავისუფლების სული" დაარქვა, დედამიწას შემოუფრინოს. ასეთი რამ ჯერ არასოდეს მომხდარა და თავად ფოსეტს ხუთი ცდა უკვე ჩაფლავებია. ისე კი, ფოსეტი მრავალი საფრენოსნო რეკორდის შემოქმედია, თუმცა ამოჩემებული აქვს, რომ შეუსვენებლივ, სადმე დაშვების გარეშე შემოევლოს დედამიწას.



REUTERS

# უცნაური სოფელი

ეკვადორის ანდებში ღარიბ-ღატაკ სოფელ ხუნკალში ბიჭები ისე თამაშობენ ფეხბურთს, რომ არც ფორმა აქვთ და არც მწვანე მინდორი. ეგებ ხუნკალი არც ჩანდეს ფეხბურთის რაგინდარა მნიშვნელობის ცენტრად, მაგრამ სხვანაირად იფიქრებთ, თუ შეიტყობთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადმყოფ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ხუთი ხუნკალელი თამაშობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge